საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა 15 აგვისტო 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 184 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 184

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული.
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

მე-10 ქვ. ათასეულის უფროსი, ამავე ათასეულის აფიცერთა და ჯარისკაცთა მთელი შემადგენლობა ამით აცხადებენ, რომ დღეს, აგვისტოს 15 წმინდა ნინოს სასაფლაოზე მოხდება დაკრძალვა ზემო აჭარაში გმირულად დაღუპულ კაპიტნების

შალვა ხოხაშვილის
და
არისტო გამცემლიძის

გამოსვენება მოხდება სამხედრო ტაძრიდან (რუსთაველის ქუჩა). წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, ხოლო წესის აგება 11½ ს.
(2658 1—1)

ნინო ქუთათელაძისა, გრიშა და მიშა ქუთათელაძეები. მანია და ვალოდია სიამაშვილი, ნინა და სერგო ქორქოლიანები, ანნა და საშა ჩხეიძეები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 15 აგვისტოს დღის 12 საათზე დიდუბის სასაფლაოს გალავანში მიცვალებულის საფლავზე გადახდილი იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი საყვარელი სამხედრო ავიატორის კაპიტანი

პავლე ათანასას ძე გრიგორაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2662 1—1)

დამწუხრებული და უბედური ნადეჟდა სპირიდონის ასული ქუთათელაძე-გრიგორაშვილისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 აგვისტოს დღის 12 საათ. დიდუბის ეკლესიის გალავანში მიცვალებულის სასაფლაოზე გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაღუპულ საყვარელ ქმრის სამხედრო ავიატორის კაპიტან

პავლე ათანასეს ძე გრიგორაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2662 1—1)

მშობლები: სამსონ გრიგოლის ძე მახათაძე და მეუღლე მისი ნინა ალექსის ასული, ძმები: გრიშა და მიშა, და თამარა აუწყებენ პატივცემულ საზოგადოებას, რომ კვირას 15 აგვისტოს გადახდილ იქნება ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფას ქუთ. მე-2 გიმნაზიის მე-7 კლ. მოწაფის

ალექსანდრე (სანდრო) სამსონის ძე მახათაძის

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.
(2666 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მინა ინწკირველის ასული, შვილები: მიხაკო. გიორგი და პოლიკარპე, რძლები: სონა და აგრაფინა, შვილის შვილები: პეტრე და და დარია დოლიძეები, შოთა და შუშანა ვასაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ფილიპე ოქროპირის ძე დოლიძე

რომლის დაკრძალვა მოხდა ს. ამაღლებაში, (გურია) 5 აგვისტოს, დღითი ხუთშაბათს 3 საათზე.)2665 3—1)

პირველი სახელმწიფო სანატორიუმი
ბორჯომში
დიდ სასახლეში

გაიხსნა 15 აგვისტოდან. ყველა ავადმყოფები რომლებმაც შემოიტანეს თხოვნები ამ აგვისტოდან

მიღებულნი არიან

და შეუძლიათ მივიდნენ სანატორიუმში ზემოთ ნაჩვენებ რიცხვიდან საღამოს 6 საათამდე. კერძო პირებმა უნდა უნდა იქონიონ თავიანთი ლოგინის საცვლები, ბალიში და საბანი. თვიური გადასახადი მოსამსახურეებისათვის 11,000 მანეთი, კერძო პირთათვის 15,000 მან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სანატორიუმის დირექტორთან ექ. მ. ი. ზანდუკელისაგან. მისამართი: ბორჯომი, სანატორიუმი.
(2661—3—1)

ჭიათურის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის საჭიროა ორი მასწავლებელი
საზოგადო საგნებისა, ერთი მასწავლებელი გერმანული ენისა. პირობები: ჩვეულებრივი ჯამაგირები, უფასო ექიმი და წამლობა.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს გამგის სახელობაზე ჭიათურაში 8 ენკენისთვემდე.
(2639 3—2)

ფრანგული ლიცეი თფილისში
რომელიც დამტკიცებულია და სუფსიდიას ღებულობს საქართველოს და საფრანგეთის მთავრობისაგან. პარიზის ლიცეების პროგრამით. წლიური სწავლის ფასი 8000 მ., აქედან 1000 მ. შეტანილი უნდა იქნას ჩაწერის დროს. საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომ ღარიბ მოწაფეთათვის სწავლის ფასი დაკლებული იქნება საქართველოს მთავრობის ხარჯზე. ბავშვები მიიღება განურჩევლად სქესისა; მოსამზადებელ კლასში გამოუცდელად. I კლასში მიღების დროს უპირატესობა მიეცემა—ვისაც ექნება მოწმობა პირველ დაწყებით სასწ. 4 კლ. დასრულების შესახებ. ვისაც მოწმობა არ ექნება მიღება გამოცდით. 2, 3 და 4 კლასებთან სპეციალურად მოწყობილი იქნება განყოფილებანი, იმათთვის, ვინც ფრანგულ ენაში სუსტი.

ლიცეი გაიხსნება მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს.

ჩაწერა ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. უმაღლეს ფრანგულ კურსების დირექციასთან, რტიშჩევის ქ. № 22. (2643—4—1)

მუშათა მაგიდა
აცხადებს წარმოება-დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ ახალი სიები და საალფავიტო ბარათები უნდა შეაგროვონ

მთელი ჯგუფის ერთად
ჯგუფის წარმომადგენლებმა, და წარმოადგინონ მუშათა მაგიდაში. ამასთანავე საჭიროა იქნეს წარმოდგენილი ყველა ჯგუფში მოთავსებული წარმოება დაწესებულებების აღწერა—სია. **ცალ-ცალკე სიები არ მიიღება.** (ნ. 3—3)

16 მარიამობისთვიდან თფილისში გამოვა
ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„სოფლის მუშა“
ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

გაზეთი გამოვა ორშაბათობით
მასალები უნდა გამოიგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სახელზე—თფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშასათვის“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან
ალ. ლომთათიძე.
ივ. გომართელი.
სტ. ელიაძე.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის
სასოფლო-სამეურნეო განყოფილება თავის მამულიდან სისტემატიურად ღებულობს საუკეთესო ხარისხის

ბოსტნეულობას
ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს დაეთმობათ არსებულ ნიხრზე 20%-თ დაკლებულ ფასებში. მიღება შეიძლება განყოფილების საწყობში (მალაკნის ქუჩა, სახლი № 23). (ნ. 1—1)

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზ. გა
„კახეთის“
გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, აგვისტოს 22-ს, ამა წლის თფილისში, გოგოლის ქ. № 63, საკუთარი სახლი, დილის 9 საათზე დანიშნულია წევრთა საგანგებო კრება.

განსახილველია: 1. ექვსი თვის 1919—20 საოპ. წლ. ანგარიში, 2. გამგეობა საბჭოს მოხსენება, 3. მამულის შეძენა და სარდაფის აშენება კახეთში და 4. მიმდინარე საკითხები.

რადგანაც კრება მეორედ არის დანიშნული, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. **გამგეობა.**
(2668—1—1)

ქ. ხაშური
კვირას, 15 აგვისტოს 1920 წ. ხაშურის რკ. გზის მუშათა კლუბში. ნაშუადღევის 3 საათზე. დანიშნულია ს. ს. დ. მუშათა პარტიის ხაშურის ორგანიზაციის წევრთა

საზოგადო კრება
განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) მოხსენება კომიტეტისა, 2) განხილვა და დამტკიცება წლიური ანგარიშისა, 3) ახალი კომიტეტის არჩევნები, 4) სარევიზიო კომისიის არჩევა და მიმდინარე კითხვები...

ორგანიზაციის წევრების დასწრება სავალდებულოა. წევრებმა თან უნდა იქონიონ საწევრო ბილეთები; ვისაც არა აქვს გადახდილი საწევრო და დამატებითი გადასახადი—კრებაზე დაშვებულნი არ იქნებიან...

ს. ს. დ. მ. პ. ხაშურის ორგ. **კომიტეტი.** (4—4)

გაგრა
კლიმატიური სადგური თფილი ჰავით სარგებლობის მიზნით სრულიად დახურულია ჩრდილოეთის ქარისაგან.

წლის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა არის 15½° ცელ. სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.

სასარგებლოა: სისხლ ნაკლულთათვის, გულის და ფილტვების სისუსტით ავადმყოფთათვის, გულის და ფილტვების სისუსტით ავადმყოფთათვის, ნერვებ აშლილთათვის, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ მოსაკეთებელთათვის და საერთოდ მოქანცულთათვის.

სუბ-ტროპიკული მცენარეები, პალმები, მანდარინები, ლიმონები, ციტრონები და საუცხოვო მთის ნაკადულების წყალი.

სამაგალითო კანალიზაცია.

მზად არის 2 სასტუმრო ოთახით. შეკეთებაშია 1 სასტუმრო 60 ოთახით. ოთახი ელექტრონის განათებით და მოსამსახურით დღე და ღამეში ღირს 40 მანეთიდან ზევით; სასტუმროშივე არის ფოსტა-ტელეგრაფი, პირველი ხარისხის სასადილო, საერთაშორისო სამზარეულოს სხვადასხვა სალი საჭმელებით, საზღვარ გარეთელი და რუსული ღვინოები ზომიერ ფასებში, ექიმები, აფთიაქი, სამაგალითოდ მოწყობილი გამთბარი ზღვის წყლის, მზის სხივების და ელექტრონის ვანები. **Души Шарко.**

მხატვრული მიდამოები, მთის ჰაერი, თევზაობა, ნადირობა, გემებით მიმოსვლა. შეკითხვებით გთხოვთ მიმართოთ გაგრის კლიმატიურ სადგურის გამგეობას „გაგრაში“. (ნ. 3—3)

თფილისის პოლიტეხნიკური
სასწავლებელი
იწვევს სამოსწავლო წლიდან ფიზიკის მასწავლებელს. თხოვნები მოკლე curriculum vitae თ წარმოდგენილ უნდა იქნეს 1 სექტემბრამდე სასწავლებელში.

პირობების გაგება შეიძლება დირექტორთან.

თფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 70. (2669—1—1)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი

მ. ი. ვოლოხი
და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33.
(2614—თ.)

ექიმი

მ. ზანდუკელი
ორი თვით წავიდა ბორჯომში და შესწყვიტა თფილისში ავათმყოფების მიღება. (2660—3—1)

კომუნისტური საერთაშორისო ზნეობა
ბევრ გაუგებრობათა შორის, რომელიც წარმოშვა ბალშევიზმმა, იქნება ყველაზე დიდს გაუგებრობას წარმოადგენს რუსეთის კომუნიზმის დაკავშირება მარქსიზმთან, მარქს-ენგელსის მოძღვრებასთან.

ნამდვილათ კი ბალშევიზმი, როგორც იდეოლოგიის, ისე პრაქტიკის მხრით, წარმოადგენს მარქსიზმის პირდაპირს წინააღმდეგობას, სრულს მის უარყოფას, ისევე, როგორც მარქსიზმის სრულს უარყოფას წარმოადგენდა თვალად უფრო „შეურიგებელი“, „რევოლიუციონური“, არსებითად კი რეაქციონური ბაკუნიზმი. კომუნისტების მთელი პრაქტიკა ეს არის მარქსის პრინციპების ფეხქვეშ გათელვა. იქნება ეს ისე თვალსაჩინოდ არსაიდან სჩანდეს, როგორც კომუნისტების საგარეო პოლიტიკიდან, იმ საერთაშორისო პრაქტიკიდან, რომელიც შემოიტანა ბალშევიზმმა.

მარქსმა მოგვცა მშვენიერი, ღრმა და ჰუმანიური პრინციპი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს სოციალისტური პარტია საერთაშორისო პოლიტიკაში:

სოციალისტური პარტია უნდა ცდილობდეს დაამყაროს სახელმწიფოთა ურთიერთობაში ის ეთიკური ნორმები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ერთმანეთის შორის ურთიერთობაში ცალკე ადამიანები. (ციტატა ხელთ არა გვაქვს, დედა-აზრი კი ასეთია).

ბალშევიზმმა, პირიქით საერთაშორისო ურთიერთობაში შეიტანა უფრო მეტი ვერაგობა, გაუტანლობა, უპირობა, სიტყვის გატეხა, ვიდრე ეს იყო გამეფებული ბურჟუაზიულ და იმპერიალისტურ სახელმწიფოებში. საერთაშორისო ზნეობრივი ნორმები ბალშევიზმმა კი არ აამაღლა, კიდევაც ბევრათ დაამდაბლა. როდესაც კომუნისტებთან რაიმე ხელშეკრულებას სდებთ ან რაიმე შეთანხმებას ამყარებთ, დარწმუნებული არა ხართ, რომ ისინი მას საჭიროებისამებრ არ დაარღვევენ. ბრესტის საზავო ხელშეკრულებას ხელს აწერენ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები და საჭიროთ არც კი სთვლიან დამალონ, რომ ეს შეთანხმება მათ თვალში მხოლოდ „დროებითია“ და „შესასვენებლად“ ხდება. ასევე უყურებენ საბჭოთა რუსეთის მოღვაწენი დღეს, როდესაც ევროპის სახელმწიფოებთან შერიგებაზე სწარმოებს მოლაპარაკება: ეს შერიგება იქნება „დროებითი“, მისი მიზანია—„სული მოათქმევინოს“ საბჭოთა რუსეთს.

ასეთივე ჩვეულებები შემოაქვთ კომუნისტებს მცირე სახელმწიფოთა მიმართ. საკმარისია იმის გახსენება, რომ „წითელი“ ადერბეიჯანი საქართველოსთან ხელშეკრულობის დადების შემდეგ თითქმის მეორე დღესვე შეიჭრა ზაქათალის ოლქში.

მაგრამ კომუნისტების ამ ვერაგულმა და ველურების ეთიკამდის ჩამოქვეითებულმა საერთაშორისო პოლიტიკამ ყველაზე მეტათ სომხეთის მიმართ იჩინა თავი. ათს აგვისტოს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ბ. ლეგრანი ხელს აწერს რუსეთსა და სომხეთს შორის დადებულ შეთანხმებას. პირველივე მუხლი ამ შეთანხმებისა მოითხოვს, რომ საბჭოთა ჯარებს და სომხეთის ჯარებს შორის უნდა დაუყოვნებლივ შეჩერდეს ყოველივე სისხლის ღვრა. მაგრამ ვერ მოასწრეს ორივე მხარის წარმომადგენლებმა შეთანხმებაზე ხელის მოწერა, რომ საბჭოთა ჯარები უკვე არღვევენ შეთანხმების პირველსავე მუხლს: დილიჯან-კარაკლისის ჯარის ნაწილების უფროსი ბ. სეპუხი იტყობინება, რომ „საბჭოთა ჯარები არღვევენ ზავს“ და „არტილერიის გაძლიერებული სროლის საშუალებით განაგრძობენ წინსვლას კარადაშის რაიონშიო“.

რას ნიშნავს ეს? რასთან გვაქვს საქმე? უპასუხისმგებლო სარდლების თვითნებობაა ეს, თუ საბჭოთა რუსეთის პასუხისმგებელი აგენტების პოლიტიკური ნაბიჯია? ჩვენ ძალიან გვეშინიან, რომ საბჭოთა ჯარის მხრივ ხელშეკრულობის დარღვევა ისევე არ არის „უპასუხისმგებლობის“ ნაყოფი, როგორც უპასუხისმგებლობის ნაყოფი არ გამოდგა ველიკანოვის და ვასილენკოს შეჭრა ყაზახის მაზრაში და ნახიჩევანში. ჯერ ჯარი შეიჭრება, მერე პოლიტიკის სათავეში მდგომნი ამას დაადასტურებენ.

კომუნისტებმა ზნეობის მხრით მეტათ მდაბალი პრაქტიკა შემოიტანეს ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასიის ყველა ერებმა ერთსულოვანის პროტესტით უნდა აიძულონ ისინი საერთაშორისო ურთიერთობაში დაადგნენ უფრო კულტურულს გზას, რომელიც, სხვათა შორის, გულისხმობს, რომ ხელშეკრულობა იმიტომ არ იდება, რომ იგი მეორე დღესვე დაარღვიო.

პრესა
ამ დღებში „კომუნისტის“ რწმუნებას, რომ საქ. კომუნისტური პარტია პროლეტარიატის პარტიაა, ჩვენ დაუპირდაპირეთ ის ფაქტი, რომ ეს პარტია ჩვენში ეყრდნობა არა პროლეტარიატს, არამედ 1) ყოფილ და ან დათხოვნილ წვრილ ჩინოვნიკობა-ოფიცრობას, 2) არა-ქართველ ერებს, რომლებიც სხვა სახელმწიფოებთან ლამობენ შეერთებას, 3) საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძალას, ამაზე „კომუნისტი“ ასეთს პასუხს იძლევა:

„ერთი სინჯეთ ბატონებო, თუ მისხალი მაინც პასუხისმგებლობა ან სინიდისი მაინც შეგრჩენიათ და დაგვიმტკიცეთ, რომ ბიუროკრატები და „რუსი აფიცრები“ შეადგენენ ჩვენი პარტიის სულ მცირე ნაწილს მაინც, გამოაქვეყნეთ, ვინ და რამდენი ბიუროკრატი და დენიკინელია საქართველოს ციხეებში დაპატიმრებულ ბალშევიკთა შორის? ეს ხომ სულ იოლი საქმეა. დაამუშავებიეთ აგრეთვე თქვენს პასპორტისტებს და არქივარიუსებს ამ მდიდარი მასალა, რომელიც ხელთ იგდო თქვენმა პოლიციამ ჩვენი ბიუროების დარბევის დროს, სარეგისტრაციო ბარათების წაღებით და გააგებიეთ ქვეყანას ჩვენი პარტიის შემადგენლობა“.

პასპორტების გაშინჯვა აქ საჭირო არ არის (თუმცა ბალშევიკების სიები ამ მხრივათაც ძლიერ საინტერესო იქნებოდა), საკმარისია თვალი გადაავლოთ კომუნისტურ პარტიის იმ „ლაშქარს“, რომელიც ქუჩაზე გამოვიდა პირველ მაისს, ან იმას, რომელმაც მანიფესტაცია გაუმართა ბ. კიროვს, როდესაც იგი პირველად ჩამოვიდა. რაც შეეხება ციხეებში მჯდომებს, მართალია, ჩვენ არ მოგვიხსენებია კომუნისტურ პარტიის თანამგრძნობთა ერთი კატეგორია: ესენი გახლავთ ქურდ-ავაზაკები და საერთოდ სისხლის სამართლის წესით დასჯილები. მართალია, რომ ისინი შეიძლება ყველაზე დიდს კატეგორიას წარმოადგენენ ბალშევიკთა რიგებში. მათთან შედარებით ციხეში მჯდომი იდეური ბალშევიკები რიცხვით თითზე ჩამოსათვლელნი არიან.

* * *

„ნორ-აშხატავორი“ (№ 105) სწერს:

„ჩვენ გვითქვამს, რომ ადერბეიჯანის გაწითლება, სხვა არაფერია გარდა ბეკურ ხანურ ხრიკისა, რომლითაც ადერბეიჯანის კონრტ-რევოლიუციონერები ცდილობენ განახორციელონ თავიანთი ფეოდალური მიზნები საბჭოთა რუსეთის „მუშათა და გლეხთა“ ლოზუნგების დახმარებით.

ეს აშკარაა დღეს იმათთვისაც, ვისაც ამაში ეჭვი ებადებოდა.

იტტიხადების პარტია სავსებით შეუერთდა ბალშევიკებს, მუსავატის მარცხენა ფრთამ მიიღო „საბჭოთა პლატფორმა“, შევიდა ბალშევიკების პარტიაში და დაიკავა ადერბეიჯანის სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე მეტი პასუხისმგებელი პოზიციები. სულთანოვები, ჰუსეინოვები, ყარაბეგოვები, სეილანოვები, შაჰტახტინსკები—მუსავათის ცნობილი ძველი მოღვაწეები—დღეს „წითელ“ ნიღაბის ქვეშ ასრულებენ თავიანთ ბეგ-აღლარულ შავ საქმეებს ისევე მარჯვეთ და უზრუნველ ყოფით, როგორც ასრულებდნენ წინანდელი ბატონობის დროს. ბეგების კლასი არა თუ არ არის დევნილი, არამედ, პირიქით, მაზრების „რევკომების“ და კომიტეტების ხელმძღვანელობა მათ აქვთ ჩაბარებული.

და ეს კონტრ-რევოლიუციონური ხროვა საბჭოთა რუსეთის მფარველობის ქვეშ ძალიან ოსტატურათ აკეთებს თავის ბნელ და მუხანათურ საქმეს.

საგარეო საქმეებშიაც ადერბეიჯანის საბჭოთა ძალა-უფლება გამოდის არა მარტო მუსავატის ლოზუნგებით არამედ—იტტიჰადის მისწრაფებებითაც. და „წითელ“ ადერბეიჯანის წარმომადგენელნი მეზობელ რესპუბლიკებისადმი უფრო მეტ აგრესივობას იჩენენ, ვიდრე მუსავატის აბსოლიუტურ ბატონობის დროს“...

„საბჭოთა რუსეთი აღმოსავლეთში გამოდის არა თავისი რევოლიუციონური ლოზუნგებით, არამედ საბჭოთა რუსეთი სათამაშოთ გამხდარა ადგილობრივ კონტრ-რევოლიუციონერების ხელში და ამას მშვენივრათ ამტკიცებს „წითელ“ ადერბეიჯანის მოკლე ისტორიას...

საბჭოთა რუსეთში
(გაზეთებიდან)

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა საშუალო ფორმატის წიგნაკის ოთხ გვერდიანი ფურცელი **მაქსიმ გორკისა** სათაურით—„ებრაელების შესახებ“.

ფურცელი, როგორც აღნიშნულია ზედ, გამოცემულია 1919 წელს პეტროგრადის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს მიერ. დაბეჭდილია 1-ლ სახელმწიფო სტამბაში, გოტჩინის ქ. 25.

იმის დასახასიათებლად, თუ როგორი მდგომარეობა შექმნილა საბჭოთა, ანუ

დღეს

ინგლისური ცნობით, საფრანგეთის მიერ ვრანგელის მთავრობის ცნობა ნიშანია ინგლის-საფრანგეთს შორის გაუგებრობის დაბადებისა.

იტალიის ელჩი აღნიშნავს შეერთებულ შტატებისადმი წარდგენილ განცხადებაში, რომ საჭიროა პატივისცემით მოვეპყრათ როგორც რუსეთის, აგრეთვე პოლონეთის დამოუკიდებლობას.

სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარე შანტი მოსკოვიდან იუწყება, რომ საბჭოთა რუსეთი სომხეთისგან მოითხოვს ნახიჩევანის და ზანგეზურის მაზრებს.

სკუტარის მიდამოებში ახალი შეთქმულება აღმოაჩინეს ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ.

ბათომის საგანგებო კომისარის განკარგულებით სახელმწიფო ფონდში იქნა გადარიცხული იმათი მამულები ვისაც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებისათვის გადასახლება ჰქონდა მისჯილი.

როგორც ბოლშევიკები უწოდებენ, სოციალისტურ რუსეთში საერთოდ ებრაელ მცხოვრებთათვის საჭიროდ მივიჩნია მოვიყვანოთ აქ ამ „ფურცლის" სრული თარგმანი.

ამხანაგებო და მოქალაქენო! როცა რუსს ცუდათ წაუვა საქმე, ის ამაში ბრალს სდებს ცოლს, ამინდს, ღმერთს— ყველას, გარდა თავის თავისა. ასეთია რუსული ბუნება, ტყუილათ კი არ არის ასეთ შემთხვევაზე მოგონილი ანდაზა: Вали валом свой грех на всех,— жалобиться станешь—и чорта обманешь. („შენი ცოდვა სხვას აბრალე,— ჩივილით ეშმაკსაც მოატყუებო") აი, ჩვენ ყოველთვის ვჩივით ვინმე გარეშეზე, რომ გავამართლოთ ჩვენი სისულელე, ზარმაცობა და ჩვენი არ ცოდნა მუშაობის და ცხოვრების.

ეხლა რუსი კაცის სულში კვლავ მწიფდება უსაქმურის და ზარმაცის შური და მძულვარება ებრაელებისადმი, რომლებიც წარმოადგენენ ცოცხალ მოქმედ ხალხს, რომელიც ცხოვრების ყველა გზებზე სჯობნის რუსს, რადგან მას შეუძლია და უყვარს მუშაობა.

მე ვიცი—თქვენ იტყვით: „აჰა, ეს ისევ იცავს ებრაელებს, ცხადია, მოსყიდულია",

დიაღ, მე მოსყიდული ვარ, მაგრამ არა ფულით, ჯერ არ დაბეჭდილა ასეთი ფული, რომლითაც შეიძლებოდეს ჩემი მოსყიდვა, მაგრამ უკვე დიდი ხანია, ბავშობიდანვე, მე მომისყიდა პატარა უძველესმა ხალხმა, მომისყიდა იმით, რომ ის მტკიცეა ცხოვრებისათვის ბრძოლაში, ურყევათ სწამს ჭეშმარიტების გამარჯვება, ეს არის რწმენა, ურომლისოდაც კაცი ორფება ცხოველათ იქცევა.

დიაღ, ებრაელებმა მომისყიდეს თავისი ჰქვიანური სიყვარულით ბავშვებისადმი, მუშაობისადმი, და მე გულწრფელით მიყვარს ეს მაგარი ხალხი; მას ყველა სდევნიდა და სდევნის ყველა სცემდა და სცემს, ის კი განაგრძობს ცხოვრებას და თავისი მშვენიერი სისხლით ამკობს მისდამი მტრულათ განწყობილ ქვეყანას.

ებრაელები იყვნენ, რომ ჩვენ ჭუჭყიან მიწაზე აღზარდეს მშვენიერი ყვავილი —ქრისტე, ებრაელ დურგლის შვილი, სიყვარულის ღმერთი, რომელსაც თქვენ თითქოს თაყვანს სცემთ—თქვენ, ებრაელთა მოძულენი. სულის ასეთივე მშვენიერი ყვავილები იყვნენ ქრისტეს მოციქულები, ებრაელი მეთევზეები, რომლებმაც დედამიწაზე განამტკიცეს ქრისტიანული სარწმუნოება, ხალხთა საყოველთაო ძმობის სარწმუნოება, რომლის საფუძველზე აღიზარდა სოციალიზმის, ინტერნაციონალიზმის იდეაი.

რუსეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაშიაც ებრაელთა ინტელიგენციას ჩვენი, რუსის ინტელიგენციაზე ნაკლები სისხლი არ დაუღვრია, თუმცა იცით კი თქვენ როგორი ტანჯვებითაა მოპოებული თავისუფლება, რომლითაც თქვენ ეხლა სარგებლობთ.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

ებრაელებს დიადი ღვაწლი მიუძღვით ქვეყნიერებისადმი. თქვენი ზარმაცობისა და უცოდინარობის გამო არ უწყით ეს, თქვენ მხოლოდ ერთი რამ იცით,— ებრაელები სადღაც თქვენზე წინ სდგანან და რიგში არ უხდებათ გაჩერება. მაგრამ ისინი ხომ თქვენზე წინ იმიტომ არიან, რომ თქვენზე უკეთესათ შეუძლიანთ და უყვართ მუშაობა, რიგში ჩასადგომათ კი საწყალი ებრაელი არ მიდის, რადგანაც იცის, რომ თქვენ მას არ მოასვენებთ, აბუჩათ აიგდებთ, სცემთ და იქნება თქვენი უმწეობით გაჯავრებულებმა მოჰკლათ კიდევაც.

თქვენ არ უწყით რამდენი ებრაელი იხოცება შიმშილისაგან, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ერთმანეთს ეხმარებიან, —აა, თქვენ ეს არ იცით!

მოქალაქენო! შეიგნეთ, რომ როცა ამას ვამბობ, მე იმდენათ ებრაელებს არ ვიცავ, რამდენათ გიცავთ თქვენ! მე უკმეხათ გელაპარაკებით, რადგან ცხარე სიტყვების დიდი წვიმაა საჭირო რუსის სულისაგან ტალახის და სიცრუის გადასარეცხათ, საჭიროა. რომ თქვენ შეგრცხვეთ და გაიხსენოთ სინდისი და შეიგნოთ ისიც, რომ ებრაელები არ წარმოადგენენ ერთ წოდებას, რომ ეს ხალხი ისევეა დაყოფილი კლასობრივათ, როგორც თქვენ, ხალხი, რომლის 92% ღარიბი ხელოსნები არიან და მხოლოდ 8% მდიდარი ვაჭრები. როგორც თქვენ, ისე ებრაელებსაც ჰყავთ თავისი პარტიები, ერთმანეთისადმი მტრულათ განწყობილი. სიონისტ ებრაელებს სურთ გადასახლდენ პალესტინაში, სადაც მათ დაარსებული აქვთ სახელმწიფო, მეორენი ამის წინააღმდეგი არიან და მტრობენ სიონისტებს, ჰკეტავენ მათ სკოლებს, სინაგოგებს, უკრძალავენ ბავშვებს ებრაულ ენის სწავლებას—ებრაელები ისევეა დანაწილებული, როგორც ჩვენ, რუსეთი.

რასაკვირველია, ყველა ებრაელები არ არიან მართლმორწმუნენი, მაგრამ განა მართლმორწმუნეობაზე, ღირსებაზე და სინდისზე თქვენ უნდა ილაპარაკოთ, ისეთმა ხალხმა, რომელმაც ამ რევოლიუციის დროს თავი შეირცხვინა ისეთი თავშეუკავებელი ქურდობით და მექრთამეობით.

მე ამას პირში გეუბნებით და თქვენ ვერაფრით უარჰყოფთ ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებას—თქვენ გზას ასცდით, ქურდები გახდით, გაირყვენით, თქვენ საზიზღრები ხართ! თქვენ უსირცხვილობაზე ქვანი ღაღადებენ, ადამიანი ადმი თქვენი სიმკაცრე—მხეცური სიმკაცრეა. დროშებზე თქვენ სწერთ „ხალხთა ძმობას", მაგრამ თქვენი თავისადმიც კი არ შეგიძლიანთ ადამიანურათ მოპყრობა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! თქვენ წინაშე იბადება საფრთხე ძველი წესწყობილების დაბრუნებისა მათრახებით, მონური ცხოვრებისა, და ნუ თუ თქვენ არა გრძნობთ, რომ დროა გონზე მოხვიდეთ, ჭკუაზე მოხვიდეთ, მედგრათ მუშაობას მოჰკიდოთ ხელი და მედგრათ შეუდგეთ თავისუფლების დაცვას.

გაანებეთ თავი ერთი მეორის მისიანებას,—ებრაელები თქვენზე ცუდნი არ არიან, თქვენს უბედურებას მეზობელს კი ნუ აბრალებთ, არამედ—თქვენ თავს, თქვენს ზარმაცობას და განუვითარებლობას დააბრალეთ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

აგვისტოს 14.

ფრანგული ცნობები.

ქვა-ნახშირის დამუშავება გერმანიაში.

გაზეთ „ეკლერის" მიერ მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, რომ პრუსიაში გერმანიის ქვა ნახშირის დამუშავება მეტად გაზრდილა. 1920 წლის პირველ ნახევარში 59,743,864 ტონა ქვანახშირი დაუმზადებიათ, წარსული წლის ამდენსავე ხანში კი მხოლოდ 51,303,260 ტონი ასევე ითქმის წანახშის (ტორფის) კოკსის და სხვათა შესახებ (გამოტოვებულია)... ამ მხრივ დიდი ღონისძიება მიიღეს საარის ოლქშიაც, მხოლოდ ბავარია ჩამორჩა რამდენიმეთ მართალია, მან დაკარგა ის ადგილი, საიდანაც ის ღებულობდა ნახშირს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მან გააძლიერა და გააუმჯობესა წანახშის დამუშავება. საქსონიასა, ელნბურგსა და ბრუნსვიგში შედარებით 1919 წლის მიმდინარე წელს მეტი მადნეულობა დაამუშავეს. ამგვარათ—დაასკვნის გაზეთი,—გერმანიას შეუძლია თავის თავზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება და სპაში მომხდარ შეთანხმების ასრულება. ახლა ეს მხოლოდ მის კეთილ სინდისიერებაზეა დამოკიდებულიო.

მაღაროების აღდგენა.

საფრანგეთი ენერგიულად შეუდგა ჩრდილოეთ საფრანგეთში დანგრეულ მაღაროების აღდგენას.

იტალიის ელჩის განცხადება.

გაზეთი „პტი ჟურნალის" ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: იტალიის ელჩმა ოფიციალური განცხადება გაუგზავნა შეერთებული შტატების მთავრობას. ელჩი აღნიშნავს: საჭიროა პატივისცემით მოვეპყროთ როგორც რუსეთის, აგრეთვე პოლონეთის დამოუკიდებლობას.

სტამბოლის დაცემის შემდეგ.

გაზეთ „ომ ლიბრში" დაბეჭდილია წერილი სათაურით „სტამბოლის დაცემის შემდეგ" სადაც ნათქვამია: ევროპას უნდოდა აღმოსავლეთის ჭიშკართან მდგარიყო ქრისტიანული საბერძნეთი, რომელიც მოკლებულია ისეთ პროვინციებს, როგორიც არის სმირნა, როდოსი, ადრიანოპოლი და სალონიკი, რათა მას ედარაჯებია ბალკანეთისათვის და დაეცვა ცივილიზაცია. საბერძნეთს, რომელმაც დაიმსახურა ისტორიაში პატივისცემა და რომლის სრული ნდობა უნდა ქონდეს მოკავშირეებს, შეუძლია აღადგინოს აღმოსავლეთში ევროპის ცივილიზაციის წონასწორობაო.

გერმანული ცნობები.

ვარშავას მედგრად დაიცავენ.

ვარშავიდან პარიზისაკენ მომავალი მუშები, რომლებიც ბერლინში გზათ მოდიან (მოდიან რუსის ჯარის მიერ დაკავებულ ოლქებიდან ავათმყოფობის გამო განთავისუფლებულები) დამამშვიდებელი ცნობები მოაქვთ პოლონეთიდან, ისინი ლაპარაკობენ—პოლონელების წინააღმდეგობა ძლიერდება და ვარშავას მედგრათ დაიცავენ. პოლონეთი ეროვნული უბედურების დროს იღვიძებს, ჯარი სასწრაფოთ სდგება, მრავალი ეწერება ჯარში სამშობლოს გადასარჩენათ. წინანდელი ჯარი ახალგაზდობისგან შესდგებოდა.

დანციგში.

დანციგში გერმანელები პოლონელებს მტრულად უცქერიან. ცნობების თანახმად ამერიკის კონსულმა ვარშავა დასტოვა და პარიზს გაემგზავრა.

სურსათის გაძვირების გამო.

რუსეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე სურსათი საშინლად ძვირდება, რაც იწვევს საყოველთაო უკმაყოფილებას. ცუდი კვების ნიადაგზე გაჩნდა ხოლერა და სხვა ავადმყოფობანი.

ვრანგელის ცნობა და გერმანია.

გერმანია ძალიან კმაყოფილია საფრანგეთის მიერ ვრანგელის მთავრობის პირობით ცნობით. კონსერვატორიულსა და მის მონათესავე პარტიებს ასეთი გარემოება გერმანიისათვის სასარგებლოდ არ მიაჩნიათ. რუსეთ-პოლონეთის ფრონტზე მდგომარეობა მაჩვენებელია ლოიდ ჯორჯსა და მილერანს შორის უთანხმოებისა.

გერმანია ფიქრობს, საფრანგეთმა შეურაცხყოფა მიაყენა ლოიდ ჯორჯს. რუსეთს ახლა საშუალება აქვს საფრანგეთის მეგობარ პოლონეთის წინააღმდეგ იომოსო. გერმანიაში ყველა მომხრეა პოლონეთის სრული დაქარცხების.

ნეიტრალურ ზონაში შეჭრა.

პარასკევს საბჭოთა ჯარმა აიღო ქალაქი, რომელიც ნეიტრალურ ზონაში იმყოფებოდა.

——

რედაქციამ შემდეგი დეპეშები მიიღო:

ცაგერი. 13 აგვ. ზედა სვანეთში ვართ გვარდიის პატარა გუნდით. ხალხი თავის ჩვეულებისამებრ ეკლესიებზე ფიცსა ღებულობს, რომ იარაღი არავინ დაიტოვოს. და უკლებლივ გვაბარებენ. ყველას გული სწყდება საქართველოს ჯარსა და გვარდიაში ჩვენი არავინ არისო და ახალგაზრდობა ორთავეს ესწრაფის. კარგად მოწყობილი, მარჯვე ადმინისტრაცია დაგვხვდა უფროსი გაბლიანის და მილიციის სახით. ჩქარა მთელ იარაღს ჩავიბარებთ. ჯარისკაცები გამოვიდენ.

ნაძარცვი საქონლის შესახებ პატრონებთან შესასწორებლათ ერთ კვირას ითხოვენ. სვანეთში სასურველი მდგომარეობა მყარდება.

რუბენ ყიფიანი.

სოხუმი 11 აგვ. 8 აგვისტოს მერხეულის რაიონში მრავალრიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ვ. ნოდიას თანამედროვე მომენტზე და მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელის ი. მესხის—მიწის რეფორმის შესახებ, მიესალმება და მიულოცავს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას შინაური და გარეშე პოლიტიკაში ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელიც დაგვირგვინდა ბათომის ოლქის დაბრუნებით და უსურვებს მათ ნაყოფიერ მუშაობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ,

კრების თავმჯდომარე **სანდრო დარსაძე.**

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

14 აგვისტო.

პეტროგრადის სოც.-დემ. პროტესტი

მოსკოვი. 16 ივლისი. „ნაროდნოე დელო" რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ ოლქის მემარჯვენე ესერთა ორგანო № 155 „იზვესტიაში" პეტროგრადის სოც.-დემ. პროტესტს ბეჭდავს: „რუსეთი სისხლში იხრჩობა, კომუნისტური მთავრობა სპობს ცხოვრების საფუძველს, პიროვნების ღირებულებას ფეხით სთელავს და საუკეთესო პირებს ანადგურებს. მთელი ქვეყნის წინაშე ეს მთავრობა თავის თავს მუშათა და გლეხთა მთავრობას უწოდებს. იგი ელაქუცება ხალხს და ყველაფერს პირდება, მაგრამ ჯერ-ჯერობით მისი ძალა-უფლება მხოლოდ ძალადობაზე არის დამყარებული. საბჭოთა მთავრობა თავის მოქმედებით ამტკიცებს თავის მტრულ განწყობილებას ხალხისადმი და სიძულვილს პროლეტარიატისადმი. ცალკე მუშების დატუსაღების შემდეგ იგი შეუდგა პეტროგრადის სოც.-დემ. ორგანიზაციის მოსპობას. სოციალისტი მუშები, სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ბოლშევიკების ასეთი მოქმედების გამო. ვაცხადებთ, რომ ჩვენ არა გვაქვს არაფერი საერთო ძალადობისა და მკვლელობის მთავრობასთან უწოდებს."

„იზვესტია" აქვეყნებს რა ზემომოყვანილ პროტესტს, მას სიყალბით გაჟღენთილ სტრიქონებს."

აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის გამო.

მოსკოვი, ივლისის 16. „იზვესტია" იტყობინება, რომ გერმანიის ბურჟუაზიულ წრეებში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ანტანტა ხელს იღებს გერმანიის მიმართ ძალადობის პოლიტიკის წარმოებაზეო. გერმანიის სამხედრო მინისტრმა ვასლერმა განაცხადა, რომ ახალმა პირობებმა ბევრად უფრო გააუმჯობესა გერმანიის მდგომარეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ანტანტას ეშინია გერმანიის მეტის მეტად დასუსტების. ამის მიზეზია აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა.

დეზერტირობა წითელ ჯარში.

მოსკოვი, ივლისის 16. „იზვესტია" იუწყება: წითელ ჯარში დეზერტირობა გავრცელდაო. დეზერტირობასთან მებრძოლმა კომისიამ უკანასკნელ ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ ქალ. დანკოვში 235 მესაკუთრეს ჩამოართვა ქონება. ჩამოართვეს ცხენები, ძროხები, ცხვრები და სახნისები.

ინგლისი და ამიერ-კავკასია.

ლონდონი, აგვისტოს 5. „დეილ ტელეგრაფი" იუწყება: სომხეთის წარმომადგენელის ხატისიანის მიღების დროს ლორდ კერზონმა განაცხადა: საჭიროა სომხეთის და საქართველოს დაცვა წითლებისაგანო. ამასთანავე გაზეთი სწერს: ბოლშევიზმს არ შეუძლია დაიტრაბახოს თავის გამარჯვებით ამიერ-კავკასიაში. ამიერ კავკასიის ერები მის მთავრობის დამორჩილებაზე უარს ამბობენო.

საბჭოების წყობილებით დატანჯული ხალხი.

ვაშინგტონი. აგვისტოს 3. ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ როდესაც მთავრობა აუქმებს საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების შემზღუდველ პირობებს, ის ამით სრულებითაც არ ფიქრობს, თუნდაც პასიურად დაეხმაროს ბოლშევიზმს. ყოველი სამრეწველო, რომელიც მოინდომებს საბჭოთა რუსეთთან ეკონომიურ დამოკიდებულების დაჭერას, თვითვე აგებს თავის მოქმედებაში პასუხს. ვაშინგტონის მთავრობას საბჭოთა მთავრობა უმცირესობის ტირანიათ მიაჩნია. რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების დაჭერა შეიძლება მხოლოდ იმ აზრით გამართლდეს, რომ საბჭოების წყობილებით გატანჯულ ხალხს შველა მიეცეს.

დახმარება აღმოსავლეთის ხალხებს.

პარიზი, აგვისტოს 5. სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დესელვემ აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ წარმოთქმულ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მოკავშირეებმა დიდი დახმარება უნდა აღმოუჩინონ აღმოსავლეთში დასავლეთის ცივილიზაციის დამცველთო. ასეთივე აზრს გამოსთქვამს „დედება": მოკავშირენი ვალდებულნი არიან დაიცვან პოლონეთი ბოლშევიკებისაგან, მოკავშირეები აღმოსავლეთის ხალხებსაც უნდა დაეხმარონ ბოლშევიკების გამხრწნელ გავლენასთან ბრძოლაში. არავინ ამ შემთხვევაში არ უნდა დავნებდეთ ბოლშევიკების გამარჯვებას და მათ არაფერი უნდა დავუჯეროთ. ვისაც ბრმათ სწამს ლენინის სიტყვა, ის მოღალატეა ცივილიზაციისა და დამღუპველია ევროპისა.

საფრანგეთ-ესპანეთის კონგრესი.

ტულუზა, ივლისის 22. გაიხსნა საფრანგეთ ესპანეთის კონგრესი.

ვრანგელის მთავრობის ცნობის გამო.

პარიზი. აგვისტოს 6. „ტანი" იუწყება საზოგადოება ძალიან დაინტერესებულია მილიერანის გადაწყვეტილებით, რომელიც ვრანგელის მთავრობის ცნობას შეეხება. ამბობენ, რომ ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა ადგილობრივმა რუსმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და კერძოდ პ. სტრუვემ და ბერნადსკიმ. ვრანგელის მთავრობა საფრანგეთმა შემდეგი პირობებით იცნო: 1) უნდა იცნოს ვრანგელის მთავრობამ გლეხთა უფლება იმ მიწებზე, რომელსაც ისინი დღეს ამუშავებენ. 2) ვრანგელის ჯარის მიერ დაკავებულ ოლქის მცხოვრებთაგან უნდა მოიწვიონ წარმომადგენლობითი თათბირი. 3) ვრანგელის მთავრობამ თავის თავზე უნდა მიიღოს წინანდელ მთავრობის ყველა ვალდებულებანი მოკავშირეთა მიმართ.

გაუგებრობის ნიშნები

ლონდონი 13 აგვ. (ინგლისის რადიო) ოფიციალური წრეების აზრით საფრანგეთის მიერ ვრანგელის მთავრობის აღიარების ფაქტი მაჩვენებელია ინგლის-საფრანგეთს შორის გაუგებრობის დაბადებისა. ლოიდ-ჯორჯს იმედი აქვს, რომ ეს გაუგებრობა რამდენიმე დღეში გამოირკვევა. ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებული ცნობის თანახმათ ლოიდ-ჯორჯი ლორდ კერზონთან ერთად შაბათს მილიერანს შეხვდება ბულონში, სადაც მათ ვრანგელის მთავრობის შესახებაც ექნებათ მსჯელობა ჰფიქრობენ, ორშაბათისათვის ლოიდ ჯორჯი შესძლებს თემთა პალატაში მოხსენება გააკეთოს შექმნილი მდგომარეობის შესახებო. ყველა სწყუხს, რომ საფრანგეთსა და ინგლისს შორის უთანხმოება დაიბადა,

საფრანგეთის დაუკითხავათ

ლონდონი 13 აგვ. (რადიო) პრესის ცნობით ლოიდ ჯორჯმა, საბჭოთა რუსეთის საზავო პირობების გაცნობის შემდეგ საფრანგეთის დაუკითხავად პოლონეთის წარმომადგენლებს რჩევა მისცა. ლოიდ ჯორმა ამის შესახებ თემთა პალატაში განაცხადა: ჩვენ ვაცნობეთ პოლონეთის მთავრობას ჩვენი წინასწარი შთაბეჭდილება. ეს შთაბეჭდილება არ იყო ისეთი ხასიათის, რომ პოლონეთი აიძულებია მიეღო ესა თუ ის გადაწყვეტილება.

განცვიფრებულნი არიან.

ლონდონი. აგვის. 13. (რადიო) საზოგადოებრივი წრეები მეტათ განცვიფრებულნი არიან საფრანგეთის იმ საჩქარით, რომელიც მან ვრანგელის მთავრობის ცნობით გამოიჩინა. საზოგადოებას ძალიან სწყურია გაიგოს, თუ რამ აიძულა საფრანგეთი, რომ ამ გზას დასდგომოდა. საფრანგეთს მისი ამ ნაბიჯის შესახებ ჯერ კიდევ არ უცნობებია შეერთებულ შტატების მთავრობისათვის, რომელსაც, როგორ ამბობენ, საერთო მდგომარეობის გამორკვევამდე არ სურს, რუსეთში რომელიმე ანტიბოლშევიკური მთავრობა იცნოს.

მოლაპარაკება მინსკში.

ლიონი. აგვისტოს 13 (რადიო). მინსკის მოლაპარაკების შესახებ, რომელიც აგვისტოს 10 დაიწყებოდა, ლონდონში არავითარი ახალი ცნობა არ მისულა. იუწყებიან პოლონეთის დელეგატები მოწინავე ხაზზე იყვნენ, როდესაც მოვიდა ცნობა რუსეთის დელეგაციის მისვლის შესახებ, მაგრამ პოლონეთის მთავრობას დღემდე არ მიუღია ოფიციალური წინადადება დელეგატების გაგზავნის შესახებო. მიუხედავათ ამისა, კამენევმა შესჩივლა ჯორჯს: პოლონეთის წარმომადგენლებმა დაიგვიანეს. ლოიდ ჯორჯმა უპასუხა: პოლონეთის მთავრობას საბჭოთა მთავრობისაგან არ მიუღია ოფიციალური წინადადება დელეგაციის გაგზავნის შესახებო და თანაც აღნიშნა: ვარშავაში მყოფმა ბრიტანეთის წარმომადგენელმა გვაცნობა: პოლონეთის მთავრობას არა ერთხელ უსურვებია მოსკოვთან რადიოთ ლაპარაკება, მაგრამ ამ რადიომ ვერც ერთხელ ვერ მიაღწია თავის დანიშნულებას. ლოიდ ჯორჯმა იმედი გამოსთქვა, რომ კამენიევი მიიღებს ზომებს პოლონეთის დელეგაციის მინსკში გასაშვებად და რადიოთი პოლონეთთან ლაპარაკების მოსაწყობათ ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა—თუ საბჭოთა მთავრობამ ვარშავიდან ცნობის მიღებაზე უარი სთქვა, მაშინ როდესაც საბჭოთა ჯარი თავგანწირულად წინ მიიწევს, ეს ძალაუნებურად ეჭვს დაგვიბადებს და ვერც ამ კრიზისს გადაჭრის მშვიდობიანად და საჩქაროდ.

საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებისათვის

ბათომი, აგვისტოს 14. ბათომის ოლქის საგანგებო კომისრის ბრძანებით მოხდა კონფისკაცია და სახელმწიფო ფონდში ჩაირიცხა ბათომის მიდამოებში მდებარე ის მამულები, რომლებიც რესპ მიდამოებიდან საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებისათვის გადასახლებულ პირთ ეკუთვნის.

სამოსწავლო ყრილობა.

გამოქვეყნდა შემდეგი ბრძანება: თავდაცვის საბჭოს ბრძანებით ყველა სამხედ. ვალდებული დაბადებული 1896 წ. მოწვეულნი იქნებიან 6 კვირით სამოსწავლო ყრილობაზე. წინადადებას ვაძლევ ბათომისა და მისი ოლქის ყველა სამხედრო ვალდებულთ გარდა ქართველ მუსულმანებისა, რუსებისა, ოსებისა და აფხაზებისა, დაუყონებლივ გაემგზავრონ ოზურგეთში სამხედრო სასწავლო განყოფილების უფროსის განკარგულებაში.

ნავთსადგურში.

ბათომის ნავთსადგურში მოვიდა დიდი გემი ამერიკის დროშით (ისლანდია) და ინგლისის დროშით საოკეანო გემი „შეფილდი".

ფულის დასახურდავებელი კასების დახურვა.

ფინანსთა სამინისტროს რწმუნებულმა ბ ნ ლოლენტმა ოფიციალური განკარგულება გამოსცა, ყველა იმ ბანკის კანტორებისა და ფულის სახურდავო კასების დახურვის შესახებ, რომელთაც ფინანსთა სამინისტროსაგან ნებართვა არა აქვს. ბათომში სულ 132 ფულის სახურდავო კასა დაიხურა.

ახალი შეთქმულება.

სკუტარის მიდამოებში აღმოაჩინეს ახალი შეთქმულება სტამბოლის მთავრობაზე თავდასასხმელად. დაატყვევეს 100 კაცი. უნახეს დატყვევებულთ 4 ტყვიისმფრქვეველი, ორი ზარბაზანი და 4 ფუთი ასაფეთქებელი მასალა.

საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიულეტენი.

დაშინსკის განცხადება.

ნაუენი. 2 აგვ. მინისტრმა დაშინსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთი უნდა უფრთხოდეს თავის წინააღმდეგ გერმანელების, ჩეხების და რუსების აღდგენას. საფრანგეთმა ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნოს, რომ პოლონეთს არ სურს მის ჟანდარმათ გადაიქცეს აღმოსავლეთ ევროპაში.

ამხ. ბელაკუნის ჩამოსვლა.

პეტროგრადი 12 აგვ. პეტროგრადში ჩამოვიდა უნგრეთის ყოფილ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბელაკუნი.

ფორვერტსი რუსეთის შესახებ.

ბერლინი. 5 აგვისტო. ბერლინის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტსი" აცხადებს: ჩვენ გვსურს ყოველგვარი ომის შეწყვეტა. ჩვენ გვსურს რომ რუსეთი დავინახოთ ძლიერი, ახალი ეკონომიური ცხოვრებისთვის უნარის მქონე, რომელსაც გერმანიასთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი უნდა ჰქონდეს.

საიდუმლო ხელშეკრულება უნგრეთთან.

ბერლინი. 23 ივლისი. იტალიური გაზეთი „ეპოკა" სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემს, რომ საფრანგეთი აპირებს საიდუმლო ხელშეკრულების დადებას უნგრეთთან, რაშიაც პირდება, რომ ნეიტრალიტეტს დაიცავს მისი მეზობლებთან დავის დროს. პირდება აგრეთვე შეძლებისდაგვარად მიაწოდოს არტილერია და დახმარება აღმოუჩინოს კრედიტით, თუ უნგრეთი თავის მხრით საფრანგეთს კონტროლის ნებას დართავს რკინის გზებზე.

არეულობა ირლანდიაში.

ხორსი. 1 აგვისტო. ერთი კვირის სიწყნარის შემდეგ ირლანდიაში ისევ დაიწყო ტერორისტული აქტები. მოკლეს ერთი პოლიციელი და სხვილ სარკინიგზო საზოგადოების დირექტორი ბრუნი.

სამხედრო მასალის გატარება გერმანიაზე.

მოსკოვი. 10 აგვისტო. ფრანგულ სოციალისტურ გაზ. „იუმანიტე"-ს 13 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულია საბუთი იმას შესახებ, თუ როგორ სწარმოებს სამხედრო მასალის გადაზიდვა გერმანიის მიწა წყალზე. ეს საბუთი გაცემულია საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროსაგან № 2295-ით. მასში ნათქვამია, რომ სამხედრო მასალა გაგზავნილია ინგლისიდან პოლონეთში „დაშლილ შენობების" სახით. გადმოუტვირთავთ საფრანგეთის ნავთსადგურ ტრენერში და იქიდან შემდეგ 20 ვაგონით გაუგზავნიათ. საბუთში ნათქვამია აგრეთვე, რომ სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროებში ფორმალურ მხარეების შესრულების შემდეგ ამ მასალებს პოლონეთში გაგზავნიან გერმანიაზე.

სომხეთში

რუსეთი ზანგეზურს და ნახიჩევანს მოითხოვს.

ერევანი. აგვ. 13. „შირაქ აშხატავორი" იუწყება: აგვისტოს 10 შეთანხმებამდი მოსკოვში მყოფმა სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარე შანთმა დეპეშით აცნობა სომხეთის მთავრობას, რომ საბჭოთა რუსეთი თხოულობს სომხეთისაგან ზანგეზურისა და ნახიჩევანის რაიონებს. შანთი მოითხოვდა, რომ სომხეთის მთავრობას რუსეთის ასეთი სურვილის საწინააღმდეგოდ მთელი განათლებული კაცობრიობის წინაშე პროტესტი განეცხადებია.

სომხების დევნა.

„არაჩი" სწერს: ზანგეზურში სომეხთა დევნამ უმაგალითო სახე მიიღო, სომეხ მცხოვრებლებს ანიარაღებენ. ვიხედაც ეჭვს შეიტანებენ, რომ საბჭოთა მთავრობას კარგად არ უცქერის, იმას ხვრეტენ. დაშინებული მცხოვრებლები სტოვებენ საცხოვრებლებს და სომხეთში გარბიან.

პროტესტი.

„არაჩი" სწერს—ყაზახის მაზრაში მდგომ სომხეთის ჯარის უფროსის სეპუხის პროტესტს სომეხ მოღვაწეთა დახვრეტის გამო. პროტესტი ასეთი შინაარსისაა: მე, ჩემს აფიცრებსა და ჯარისკაცებთან ერთად ფიცსა ვსდებ, რომ არ დავივიწყო ბოროტი ბოლშევიკები, რომლებსაც შემოაქვს ჩვენს სახელმწიფოში შიმშილი, სიბინძურე და გარყვნილება.

ახალი ამბები

ამერიკელი ჟურნალისტები. აგვისტოს 12 საგარეო საქმეთა მინისტრი ევგ. გეგეჭკორი ინახულეს ამერიკიდან ჩამოსულმა პრესის წარმომადგენლებმა. ისინი მოსული არიან საქართველოში ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს ცხოვრების გასაცნობად. პრესის წარმომადგენლებმა აღნიშნეს თავისი განცვიფრება საქართველოში გამეფებულ სამაგალითო წესრიგისა და რკინის გზის სწორი მოძრაობის გამო, რაც დღეს ევროპაშიაც კი იშვიათია. ეს სამაგალითო წესიერება და მყუდროება,

სხვადასხვა ქვეყნის სახელ. წყობილება

დანია.

დანიის ახლანდელი კონსტიტუცია მოქმედებს 1866 წლიდან.

მართვა-გამგეობის ფორმა არის შეზღუდული ანუ **კონსტიტუციური მონარქია.**

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მეფესა და **რიგსტაგს** (პარლამენტს) ერთად. აღმასრულებელი ხელის უფლება ეკუთვნის მეფეს, უფრო მის მიერ მოწვეულ მინისტრებს. სამოსამართლო ხელისუფლება ეკუთვნის სასამართლოებს.

ლიუტერანული ეკლესია ითვლება ნაციონალურ ეკლესიად, რომელსაც სახელმწიფო ეხმარება.

რიგსტაგს აქვს ორი პალატა: ქვედა-ფოლკეტინგი და ზედა-ლანსტინგი.

ქვედა პალატა ირჩევა 3 წლით. 16.000 მცხოვრებზე მოდის ერთი დეპუტატი. არჩევანი პირდაპირია. არის ცოტაოდენი ცენზი.

ზედა პალატაში 66 წევრია. აქედან 12 ს. ნიშნავს მეფე სამუდამოდ. დანარჩენი 54 წევრს ირჩევენ 8 წლით. ეს პალატა სანახევროდ ახლდება ყოველ ოთხ წელიწადში. ირჩევენ არაპირდაპირ. ამომრჩეულთა ნაწილს ირჩევენ ყველა ამომრჩევლები, ხოლო მეორე ნაწილს ირჩევენ ისინი, ვინც სახელმწიფოს დიდს გადასახადს აძლევენ.

არსებობს დეპუტატის შეუვალობა.

ორივე პალატის წევრთ ეძლევათ გასამრჯელო.

თვითეული პალატა ირჩევს თავის პრეზიდიუმს და სარგებლობს ინიციატივის უფლებით. მხოლოდ ფინანსიური კანონ-პროექტი ჯერ უნდა განიხილოს ქვედა პალატამ.

მეფე უპასუხისმგებლოა. იწვევს პარლამენტს. უკანასკნელი თუ არ იქნა მოწვეული თავის ვადაზე, იკრიბება თავის ნებით. მეფეს უფლება აქვს გაუშვას პარლამენტი. სესიის გადადება შეუძლიან მხოლოდ ორი თვით. მას აქვს აბსოლუტური veto ს უფლება, ნიშნავს და ითხოვს მინისტრებს. აცხადებს ომს, სდებს საზავო და სხვა ხელშეკრულებას, ბრძანებლობს ჯარს. მის ხელშია შეწყალება და ამნისტია.

არსებობს პასუხისმგებლობა ფოლსტინგის წინაშე.

პიროვნების, ბინის ხელშეუხებლობა აღიარებულია. არის უფლება სიტყვის, წერის, ბეჭდვის, კრების, კავშირის და სხ.

სახელმწიფო სასამართლო ასამართლებს მინისტრებს, რომელთაც ამტყუნებს ქვედა პალატა ან მეფე. სახელმწიფო სასამართლოში შედიან უმაღლესი სასამართლოს წევრნი და ოთხი წლით არჩეული წევრები (თანასწორად) ლანდსტინგისა, ე. ი. ზედაპალატისა.

არსებობს პრინციპი მოსამართლის გადაუყენებლობისა. შემოღებულია ნაფიც მსაჯულთა დაწესებულება.

სახელმწიფო საბჭოს შეადგენენ შვიდი პასუხისმგებელი მინისტრი, მეფე და მისი მემკვიდრე. თავმჯდომარეობს მეფე.

დანიაში შემოღებულია პარლამენტისათვის საარჩევნო ოლქები.

ზედა პალატის წევრთა არჩევნები სწარმოებს პროპორციული პრინციპის თანახმად.

კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადება შეიძლება შეტანილ იქნეს რეიხსტაგში ყოველთვის. მას უნდა მიემხროს ორივე პალატა ანუ მთელი რეიხსტაგი. თუ ეს წინადადება მოიწონა მთავრობამ, მოწვეულ უნდა იქნეს ახალი რეიგსტაგი. გადასინჯვის წინადადება უცვლელად უნდა მიიღოს ორივე პალატამ და დაამტკიცოს მეფემ.

თვითმართველობა კანონს ემყარება. უფლება აქვს თავისუფლად გაუძღვეს თავის საქმეებს სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ.

დანია კულტურული ქვეყანაა. ცნობილია კოოპერაციით. ცდილობს საბოლოოდ გაერთიანდეს. ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია შლეზვიგ-გოლშტინის საკითხი. წყდება მის სასარგებლოდ, დანიის საერთო სახელმწიფოებრივ ფარგლებში შედის ავტონომიური ისლანდია...

ნ. საქარელი.

რომელიც ჩვენ ვიხილეთ, სავსებით უარყოფს იმ ცნობებს, რომელიც მოდიოდა საქართველოს შესახებ ევროპასა და ამერიკაში.

◆ **„სოფლის მუშა“.** გამოვიდა გაზეთი „სოფლის მუშა“. შინაარსი: 1) რედაქციისაგან, 2) მეთაური—რუსეთი და ევროპა, 3) ჩვენი მიზანი—სტ. ელიაძისა, 4) სოფლის მუშას—ი. ირემაშვილისა, 5) საუბარი სოფლის მუშასთან—ი. გომართელისა და სხვ.

◆ **ჯამაგირების მომატება.** მთავრობამ ავგისტოს 12 სხდომაზე დაადგინა: რესპუბლიკის ყველა მოსამსახურეს, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო უწყებისას, პირველ ავგისტოდან გაუდიდეს ჯამაგირი ფინანსთა მინისტრს მიენდო სასწრაფოდ შეიტანოს სათანადო პროექტი დამფუძნებელ კრებაში.

◆ **საკურორტო საქმე** მიწად მოქმედების სამინისტროსთან შემდგარმა საკურორტო კომისიამ გამოიკვლია საქართველოს სხვა და სხვა მნიშვნელოვანი სამკურნალო და საკურორტო ადგილები. კომისია თფილისს დაბრუნდა და ავგისტოს 12 ისევ გაემგზავრა ბორჯომის და ახალციხე-აბასთუმანის რაიონებში ასეთივე გამოკვლევათა მოსახდენათ.

◆ **დღიური მოწმეებს.** მთავრობამ დაადგინა მიეცეს წინადადება ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო კონტროლს წარმოადგინონ დასკვნა მოწმეთა თავის დღიურის მიცემისა და არა საპატიო მიზეზის გამო გამოუცხადებლობისთვის ჯარიმის გადიდების შესახებ.

◆ **საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი** ავგისტოს 18 ევროპას მიდის, მინისტრს თან ეხლება 2 მდივანი. ბათომიდან ე. პ. გეგეჭკორი ინგლისის სამხედრო გემით სტამბოლისაკენ გაემგზავრება.

◆ **თავდაცვის საბჭომ** თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მთავარსარდლის მოხსენება ფრონტზე მდგომარეობის შესახებ. მოხსენების შესახებ მსჯელობის შემდეგ დაადგინეს: ყველა წითელ-არმიელი დეზერტირი, რომელიც გადმოდის ჩვენს მხარეზე, გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

◆ **გადასახადი ჩაიზე.** მთავრობამ დაადგინა: დაევალოს ფინანსთა, მიწადმოქმედების და შრომის მინისტრებს შეიმუშაონ პროექტი ადგილობრივ და შემოტანილ ჩაიზე საქციზო გადასახადის შესახებ.

◆ **საგარეო ვაჭრობა.** ბათომიდან თფილისს დაბრუნდა ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ს. ლ. ავალიანი, რომელიც შემდეგ ცნობებს გადმოგვცემს: ბათომის საბაჟოში მუშაობა კარგად არის დაყენებული. საბაჟოს საწყობები უცხოეთის საქონლითაა სავსე. საქონლის უცხოეთიდან შემოტანის გასაძლიერებლად ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებულია მთელი რიგი ზომებისა. უზრუნველყოფილია თავისუფალი ტრანზიტი და შემოტანილი საქონელი რეკვიზიციისაგან. თავისუფალ ტრანზიტის უფლება შემდეგში გამოიხატება: იმ სახელმწიფოდან შემოტანილი საქონელი, რომელთანაც სავაჭრო ხელშეკრულება გვაქვს დადებული, თავისუფალია საბაჟო გადასახადისაგან, მხოლოდ მიღებულ საქონლის საბუთებში უნდა იყვეს აღნიშნული, რომ საქონელი სატრანზიტოა საწყობში დაწყობილი საქონელი გაიგზავნება უკანვე საქონლის მეპატრონის სურვილის თანახმად, თუ მან რაიმე მიზეზით ის საქართველოში ვერ გაასაღა. ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვაჭრობის განსავითარებლად დამატებით მიიღებს კიდევ სათანადო ზომებს. ბათომში ვაჭრობა-მრეწველობისა და ბანკის წარმომადგენლებს ეუწყათ, რომ მთავრობა მთელი თავისი ძალღონით დაიცავს ვაჭრობა მრეწველობის თავისუფლებას. საქონლის თუ სამრეწველო დაწესებულებათა არავითარ რეკვიზიციას და კონფისკაციას ადგილი არ ექნება. რესპუბლიკის კანონები სავსებით უზრუნველყოფს კერძო კაპიტალის და მათ შორის უცხოეთის კაპიტალის ხელშეუხებლობას და სრულებითაც არ ზღუდავს კერძო ინიციატივას. (დ. ს.).

◆ **გაზ. „საქართველოს“ გამოცემის განახლება.** დღეიდან დაიწყო გამოსვლა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო—გაზეთმა „საქართველომ“.

◆ **თფილისის პოლიტეხნიკური სასწავლებელი** იღებს თხოვნებს სამექანიკო—წმინდა სამექანიკო და ელექტრომექანიკურ და საამშენებლო—გზათა საამშენებლო და სახუროთმოძღვრო განყოფილებებზე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს: 1) 4 კლასის ატესტატი, 2) მეტრიკული მოწმობა, 3) მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრამდე. მისამართი: (დიდი მთავრის ქ, № 70).

◆ **რუსეთ-საქართველოს საფოსტო ხელშეკრულება** ფოსტა ტელეგრაფის სამმართველომ შეიმუშავა პროექტი რუსეთსა და საქართველოს შორის საფოსტო და სატელეგრაფო კონვენციისა. პროექტში დაწვრილებით ჩამოთვლილია ის პირობები და წესები, თუ როგორ უნდა იგზავნებოდეს საქართველოდან რუსეთში და რუსეთიდან საქართველოში საფოსტო კორესპონდენციები, დეპეშები, და სხ.

◆ **პოლკ. ჰასკელის ბარათი.** პოლკ. ჰასკელმა საქ. სამხედრო მინისტრს ასეთი ბარათით მიმართა: „ჩემს მოვალეობათ მიმაჩნია გამოუცხადო უღრმესი მადლობა საქართველოს ჯარს იმ საჩუქრებისათვის, რომელიც მან მომიძღვნა ჩემი ამერიკაში გამგზავრებისას. ეს დამამტკიცებელი საბუთი ჩვენი კავშირისა ჩემში საქართველოს ჯარის მოგონების მიზეზათ დარჩება. გისურვებთ მომავალში გამარჯვებას. მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი“. (ს. დ).

◆ **საქარხნო კომიტეტის კონფერენციამ** თავის კრებებზე განიხილა საკითხი შრომის ხელფასის გადიდების და კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ. დაადგინეს წარუდგინონ მოკლე ხანში მწარმოებლებს კოლექტიური ხელშეკრულობა. (დ. ს.)

◆ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოების** გამგეობამ ავგისტოს 12 სხდომაზე დაადგინა: დასაფლაონ დაღუპული მფრინავი მაყაშვილი დიდუბის პანთეონში. ქართველთა შორის წ.-კ.-გამავრცელებელი საზოგადოება აღნიშნავს, რომ ამ თავდადებულ მფრინავის დაღუპვა დიდი დანაკლისია არა მარტო საქართველოს ავიაციისათვის, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებისათვის.

◆ **გადასახადების აკრების საქმე.** გადასახადების ამკრებ სამმართველოს უფროსი ვირსალაძე, რომელიც სარევიზიოდ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილას იყო გამგზავრებული, თფილისს დაბრუნდა. რევიზია მოახდინა თიანეთის მაზრასა და კახეთის ზოგიერთ ადგილში. ვირსალაძის გადმოცემით გადასახადის აკრების წყობა (აპარატი) ქალაქებში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. რევიზორი აღნიშნავს, რომ რძის წარმოება თიანეთის მაზრაში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული. წელს კარგი მოსავალი იყო, მეჯოგეობა ფრიად ვითარდება. მეურნეობის ამ დარგზე გადასახადების ამკრებ წყობის (აპარატის) სისუსტის გამო, სათანადო გადასახადი ვერ არის გაწერილი. საქმის გასაუმჯობესებლად ვირსალაძეს საჭიროდ მიაჩნია გადასახადების ამკრები ინსპექტორები სამგზავრო ფულში გაუთანასწორონ სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეებს. ფინანსთა მინისტრი დაეთანხმა ვირსალაძის ამ მოსაზრებას და შეპირდა მას, რომ ამის შესახებ იგი მთავრობას აცნობებს. ვირსალაძემ აღნიშნა, რომ გადასახადების აკრების საქმე იმდენად კარგად არის დაყენებული, რომ მოსალოდნელია 1—1 $^{1}/_{2}$ მილიარდ მანეთის შემოსავალი. ფინანსთა სამინისტროს დავალებით ვირსალაძე მოკლე ხანში ბათომს გაემგზავრება გადასახადების აკრების საქმის მოსაწესრიგებლად. (დ. ს.)

◆ **ფოთის ნავთსადგურის მდგომარეობა.** გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი განსაკუთრებულ ბარათში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინა, ფოთის ნავთსადგურის მდგომარეობას ახასიათებს. თავის მოხსენებაში გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლის განმავლობაში ნავთსადგურში ტეხნიკური ხასიათის მუშაობა სწარმოებდა და ამიტომ ნავთსადგური თანდათან ნორმალურ სახეს იღებსო, ნავთსადგურს კვლავ ელექტრონით ანათებენ, დაიწყო ნავთსადგურის გაღრმავება და სხ. საერთოდ ნავთსადგურის მდგომარეობა წელს უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე შარშან. სხვათა შორის, გზათა დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ იგი ნავთსადგურის გასაუმჯობესებლად წარმოებულ მუშაობაში განსაზღვრულ გეგმით ხელმძღვანელობს და ნავთსადგურის სამმართველო ხელმძღვანელობს არსებულ საზღვაო კანონებით. ნავთსადგურის სამმართველომ მუშაობის და მიხედვით მოსამსახურეთა სათანადო შტატი შეიმუშავა. ნავთსადგურის სამმართველომ სამხედრო ფლოტილია გამოჰყო, გარდა ამისა საქართველოს სატრასპორტო საზოგადოებას საექსპლოატაციოდ გადასცა რამდენიმე გემი და სხვა. ამ რიგად, ნავთსადგურის გასაუმჯობესებლად ყოველგვარი ზომებია მიღებულიო. (სდ)

◆ **სამურზაყანოს მაზრის სოფელ ოტობაიაში**, რომელიც ზუგდიდიდან 20 ვერსზე მდებარეობს, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. კორესპონდენციის გაცვლა გამოცვლას ზუგდიდის კანტორა აწარმოებს.

◆ **ავჭალის წყალსადენის შეკეთების** შემდეგ ქალაქისათვის მიწოდებულ წყლის რაოდენობა გაიზარდა. უკანასკნელ დღეებში ქალაქს ყოველ დღიურათ ეძლევა 1,000,000—1,300,000 ვედრო წყალი.

◆ **ჟურ. „ერობის“** რედაქცია ღიაა დილის 10—1 საათამდე. რედაქტორთან ნახვა შეიძლება 10—11-მდე (რუსთაველის პრ. № 24).

კრებები.

ორშაბათს, 16 ავგისტოს საღამოს სრულ 6 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

პროვინციის ქრონიკა.

გურიის სამაზრო ერობის გამგეობა იწვევს გამგეებს და მასწავლებლებს საერობო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის. მათ მიეცემათ ბინა გათბობა და განათება თხოვნები და საბუთები უნდა გამოიგზავნოს სამაზრო ერობის გამგეობაში ოზურგეთში.

საქართ.-რუსეთის კომისია სამხ. გარანტიების შესახებ

საქართველო-რუსეთის შერეულმა კომისიამ სამხედრო გარანტიების შესახებ მერვე და მეცხრე სხდომაზე განიხილა რეზოლიუციის ის პროექტები, რომელიც წამოაყენა ორივე მხარემ საქართველოს და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის შესახებ. საქართველოს კომისიის თავმჯდომარე ს. მდივანი სადავო საკითხის შესახებ, რომელიც ეხებოდა მაისის 7-მდე სხვადასხვა დროს საქართველოს განკარგულებაში გადმოსულ მოხალისეთა სამხედრო და საზღვაო ქონებას, ამტკიცებდა, რომ საქართველოს დელეგაციის აზრით მაისის 7 ხელშეკრულება გარკვევით სწყვეტს იმ სამხედრო ქონების საკითხს, რომელიც გადმოვიდა საქართველოს განკარგულებაში, როგორც ხელშეკრულების დადებამდე, ისე ხელშეკრულების დადების შემდეგ. მაგრამ იმ ფაქტის გამოსარკვევად, რომ ეს სამხედრო ქონება მართლა ეკუთვნის საქართველოს, როგორც ნადავლი თუ არა, უნდა განვიხილოთ აგრეთვე საკითხი საქართველოს ფაქტიურ მდგომარეობის შესახებ მოხალისეებთან ბრძოლაში, ვინაიდან, თუ დამტკიცდება, რომ პერმანენტური ომი არ ყოფილა, მაშინ, ცხადია, რომ სამხედრო ქონების საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ საერთაშორისო უფლების ნორმებით იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი მაისის 7 ხელშეკრულებაში არ ყოფილა განსაზღვრული, ეყრდნობა რა ამ მოსაზრებებს საქართველოს დელეგაცია წინადადებას იძლევა მიიღონ შემდეგი დებულებანი:

1) თანახმად იმ პრინციპებისა, რომლებიც საერთაშორისო უფლებიდან გამომდინარეობს, საქართველოს ხელში მყოფი მოხალისეთა მთელი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, უნდა გადაცემოდა რუსეთის საბჭოთა მთავრობას იმ შემთხვევაში, მოხალისეთა მიმართ საქართველოს ფაქტიური ნეიტრალიტეტი რომ დაეცვა და რომ მაისის 7 ხელშეკრულობაში ეს არ ყოფილიყო განსაზღვრული. 2) ხელშეკრულობის მეხუთე მუხლი ავალებს საქართველოს გადასცეს რუსეთის საბჭოთა მთავრობას მხოლოდ ის ქონება, რომელიც ჩამოერთმევა იმ ჯგუფებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ხელშეკრულობის დროს განუიარაღებულნი და დაუკავებელნი აღმოჩნდებიან. 3) საქართველო მოხალისეთა ჯართან პერმანენტულ ომს აწარმოებდა. ამ ომის დროს ჩამოართვა საქართველომ მოხალისეთა ჯარს სამხედრო ქონება და ამიტომ იგი საქართველოსათვის სამხედრო ნადავლს წარმოადგენს. საქართველოს დელეგაცია ფიქრობს, რომ მოხალისეთა ქონება და ფულის ნიშნები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მაისის 7-მდე იყო, საბჭოთა რუსეთს არ უნდა გადაეცეს.

რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარე ლ. რუზერი არ დაეთანხმა საქართველოს დელეგაციის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ საჭიროა დასახელება იმ მომენტისა, როდესაც ფაქტიურად არ იყო არც ომი და არც ნეიტრალიტეტი, არამედ—იყო რაღაც მესამე, რასაც საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით არ შეიძლება დაერქვას არც ზავი, არც ომი და არც ნეიტრალიტეტი. ამიტომ რუსეთის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს ამ მესამე მომენტის აღნიშვნას იმ მიზნით, რომ მას დაუკავშიროთ მაისის 7 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ყოველი შემთხვევა. შეეხო რა ამ თვალსაზრისით სამხედრო ქონების საკითხს, რუსეთის დელეგაციამ შემდეგი დებულებანი წამოაყენა: 1) მაისის 7 ხელშეკრულების მეხუთე მუხლი საქართველოს რესპუბლიკას ვალდებულათ ხდის გადასცეს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას ყველა ის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, რომელსაც ჩამოართმევენ იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ხელშეკრულების დადების დროს და მის შემდეგ არ განუიარაღებიათ და არ დაუკავებიათ. 2) საერთაშორისო უფლებისაგან გამომდინარე პრინციპის ძალით მოხალისეთა მთელი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, რომელიც ჩაიბარა საქართველომ, იმ შემთხვევაში იქნებოდა საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკისათვის გადასაცემი, რომ საქართველოს მოხალისეთა მიმართ დაეცვა ფაქტიურად სრული ნეიტრალიტეტი და რომ მაისის 7 ხელშეკრულებაში ზემოაღნიშნული საკითხი არ ყოფილიყო განსაზღვრული. 3) თუ დამტკიცდებოდა, რომ საქართველოს მოხალისეებთან პერმანენტულ ომის განწყობილებაში იყო, მაშინ საქართველოს ხელში დაგროვილი მოხალისეთა მთელი ქონება დარჩებოდა საქართველოს, როგორც სამხედრო ნადავლი. 4) თუ არ დამტკიცდებოდა, რომ საქართველო ასეთ დამოკიდებულებაში იყო მოხალისეებთან, მაშინ საქართველოს გამგებლობაში დარჩენილი მოხალისეთა ქონების ის ნაწილი, რომელიც მიიღო საქართველომ თავის ნეიტრალიტეტის დაცვისათვის ბრძოლის დროს, როგორც სამხედრო ნადავლი, შეიძლება დარჩეს მასვე. თუმცა საერთაშორისო უფლების ნორმები სრულებით არ გულისხმობს, რომ სახელმწიფოს, რომელიც თავის ნეიტრალიტეტს შეირაღებული ძალით იცავს მებრძოლ სახელმწიფოსაგან, სრულ საკუთრებათ დარჩეს ამ სახელმწიფოსაგან ჩამორთმეული ქონება. 5) ყველა ზემოდ მოყვანილ მოსაზრებით რუსეთის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია შერეულ კომისიამ გამოიკვლიოს, მართლა იყო თუ არა საქართველო პერმანენტულ ომის დამოკიდებულებაში მოხალისეებთან, თუ იგი შეიარაღებულ ძალით ნეიტრალიტეტს იცავდა.

შემდეგი კამათიდან გამოირკვა, რომ ორივე მხარე მზათ არის წავიდეს დათმობაზე. დასასრულ შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: „შერეულმა საქართველო-რუსეთის კომისიამ სამხედრო გარანტიების შესახებ შემდეგი დებულებები მიიღო: მაისის 7 ხელშეკრულობის მეხუთე მუხლი ვალდებულად ხდის საქართველოს გადასცეს საბჭოთა რუსეთს მხოლოდ ის სამხედრო და სახედრო-საზღვაო ქონება, რომელსაც ჩამოართმევენ იმ ჯგუფებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ხელშეკრულობის დადების დროს, ან შემდეგ არ იქნენ განიარაღებულნი და დაკავებულნი, 2) თანახმად იმ პრინციპებისა, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო უფლების ზოგად ნორმებიდან მოხალისეთა ჯარის მთელი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის განკარგულებაში არის, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადასცემოდა რუსეთის საბჭოთა მთავრობას, საქართველოს რომ სრული ფაქტიური ნეიტრალიტეტი დაეცვა და ზემოაღნიშნული საკითხი რომ გარკვეულად აღნიშნული არ ყოფილიყო, მაისის 7 ხელშეკრულებაში. 3) ამასთანავე თუ დამტკიცდება, რომ საქართველო მოხალისეთა ჯართან პერმანენტულ ომს აწარმოებდა, იმ შემთხვევაში მთელი სამხედრო ქონება, რომელიც საქართველოს ხელში გადავიდა, ჩაითვლება ამ რესპუბლიკის სამხედრო ნადავლად და 4) იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა დამტკიცებული სრული ნეიტრალიტეტი და პერმანენტული ომი, რომლებიც უარყოფს მე-2 და მე-3 პუნქტების სავსებით მიღებას, საქართველოს გამგებლობაში დატოვება მოხალისეთა იმ სამხედრო ქონებისა, რომელიც საქართველომ თავის შეიარაღებულ ნეიტრალიტეტის დაცვის დროს ხელთ იგდო, როგორც სამხედრო ნადავლი, დღევანდელ პირობებში სრულიად დასაშვებია, თუმცა საერთაშორისო უფლების ნორმებში ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ჩვენება არ არის. თანახმად ზემომოყვანილ მუხლებისა, კომისია სასურველად სცნობს განიხილოს ის დამოკიდებულება. რომელიც არსებობდა საქართველოსა და მოხალისეთა ჯარის სარდლობის შორის. (სდს).

ცოტა რამ ქართველ სტუდენტების შესახებ.

ამ ბოლო ხანებში ხშირად შეხვდებით გაზეთებში წერილებს ქართველი სტუდენტობის შესახებ. ავტორები ერთხმად მიუთითებენ ქართველ საზოგადოებას სტუდენტობის უნუგეშო მდგომარეობაზე და მოუწოდებენ მას დაეხმარონ უკანასკნელთ.

როგორია ქართველი სტუდენტობის მდგომარეობა?

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ერის სიძლიერე მის კულტურულ სიმაღლეში გამოიხატება. არ არსებობს ერი უკულტურო და ძლიერი. უკულტურო ერის სიძლიერეზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. მაშასადამე, თუ, ჩვენ, ქართველებს, გვინდა ჩვენი ერის სწრაფად განვითარება და გაღონიერება, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს მომავალ თაობას.

დღეს, ჩვენს ქვეყანაში ბატონობს დემოკრატია, მუშათა ვლასი, და ერის კულტურულად და ეკონომიურად გაძლიერებაშიც, სწორედ ეს უკანასკნელია დაინტერესებული. მაშასადამე, ქართველმა დემოკრატიამ თავისი თვითმართველობების სახით უნდა აღმოუჩინოს სათანადო დახმარება დემოკრატიულ წრიდან გამოსულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ სტუდენტობას და აღზარდონ მათში მებრძოლი სული, თავდადებული მუშაკი საკაცობრიო იდეალებისათვის. ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც აუცილებელია გარეშე მტრისაგან დამცველი ჯარი და გვარდია, ისე აუცილებელია სტუდენტთა რაზმების უზრუნველყოფა და სათანადო მომზადება, რათა ისინი შეიქმნენ ცოდნით, მეცნიერებით აღჭურვილნი და უძლიერესი დამცველნი ერისა როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან.

სამოსწავლო წელი მოახლოვდა, ჩვენს დედა-ქალაქს ბევრი სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობა აწყდება, მაგრამ ბინებისა და პირველ საჭიროების საგნების ზღაპრული სიძვირე იძულებულს ჰხდის მათ ისევ სოფელს დაუბრუნდნენ და უნივერსიტეტს, თუ სამუდამოთ არა, რამოდენიმე წლით მაინც გამოეთხოვონ. და თუ ვინმე რჩება თფილისში, ისიც მხოლოდ სამსახურში და მეცნიერებას ისე შორდება, როგორც დიდი უმეტესობა მოსამსახური სტუდენტებისა.

თუ ეს მდგომარეობა გაგრძელდა, სწორედ რომ უბედურება იქნება ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. ამ დღეებში, გაზეთებში ამოვიკითხე „სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების“ დაარსების შესახებ, რაც დიდად სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამ საზოგადოებას—თუ ენერგიულად შეუდგება საქმეს, ბევრის გაკეთება შეუძლია სტუდენტთა სასარგებლოთ, რაც ამავე დროს უდიდესი სამსახური იქნება ერის წინაშე.

მაშ, დაეხმარეთ სტუდენტობას! დაუბრუნეთ ის მეცნიერებას! დაე, ქართველი სტუდენტი კვლავ გახდეს მატარებელი მაღალი, საკაცობრიო იდეალებისა და ერთგული დარაჯი თავისუფალ დემოკრატიულ სამშობლოსი!

არტემ ოფეთელი.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა:

მიიღოს სამხედრო მინისტრის პროექტი ახალციხეში მუდმივ სასურსათო მაღაზიის შესახებ. წარედგინოს დამფუძნებელ კრებას სათანადო დეკრეტი შტატით და ხარჯთაღრიცხვით.

— მიეწეროს სამტრედიას სოფელი ახალ-სოფელი.

— თანახმად გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენებისა მიენდოს საგარეო საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს აღმოუჩინონ მოსკოვის სამხ. თეატრს სათანადო დახმარება.

სახალხო უნივერსიტეტის დღეები

დემოკრატიისათვის აუცილებელია შეგნება-განვითარება: თანამედროვე დემოკრატია — განუვითარებელი, გაუთვითცნობიერებელი—პოლიტიკურ არარაობას წარმოადგენს. მაგრამ ამ შეგნება-განვითარების მიღება ვერ ხდება იმ ფორმებში, რომლებშიც ეს უფრო ნაყოფიერი იქნებოდა. დემოკრატიის დიდი ნაწილი შრომაშია ჩაბმული და იგი ვერ ახერხებს მიიღოს აკადემიური ცოდნა. ამიტომ საჭიროა გამონახვა სხვა ფორმისა, სხვაგვარ ტიპის სასწავლებლისა, სადაც ის მიიღებს საერთო განვითარებას, ზოგიერთ საჭირო ცნობებს, საერთოდ ცოდნას, რომელიც ამაღლებს მის გონებრივ განვითარების დონეს.

ასეთი ორგანიზაციებია სახალხო უნივერსიტეტები, სადაც მეცადინეობა უმთავრესათ საღამოობით სწარმოებს, და სადაც ლექციების სახით მუშებს ეს საჭირო ცნობები გადაეცემა.

საქართველოში უკვე დიდი ხანია სხვა და სხვა კუთხეებში აარსებენ სახალხო უნივერსიტეტებს, ყველა ამ უნივერსიტეტებში უძლიერესია თბილისის სახალხო უნივერსიტეტი, სადაც მართლა დამჯდარი, აკადემიური ხასიათის მუშაობა სწარმოებდა ამ 3 წლის განმავლობაში. ამ უნივერსიტეტების ხელმძღვანელები და საუკეთესო ლექტორები ყოველთვის ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი გონებრივი სარჩო მიეწოდებინათ მუშებისათვის. ამ მხრით ამ უნივერსიტეტმა დიდ დადებით შედეგებს მიაღწია.

ეხლა სახალხო უნივერსიტეტი ნივთიერ გაჭირვებას განიცდის, მის მუშაობის შემდეგ საწარმოებლათ საჭიროა დიდი თანხები. ეს თანხები უნდა შემოვიდეს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან, მაგრამ ამას გარდა, საჭიროა მასსიური დახმარება, რომლის მოგროვებაში უნდა გამოჩნდეს დემოკრატიის გულუხვობა თავისივე ორგანიზაციის მიმართ. გუშინ და დღეს იმართება „სახალხო უნივერსიტეტის დღეები“, წარმოდგენებიდან და საღამოებიდან შემოწირულებების სახით მოგროვდება ნაწილი მაინც იმ თანხისა, რომელიც სჭირდება სახალხო უნივერსიტეტს.

უნდა ვიფიქროთ, რომ თფილისის დემოკრატია გულს არ აიცრუებს ამ თავის „დღეებზე“, გაითვალისწინებს თვით სახალხო უნივერსიტეტის დიად მნიშვნელობას და გულუხვ შეწირვით, ხელსშეუწყობს სახალხო უნივერსიტეტის გაძლიერებას.

დ. უ.

ამიერ-კავ. კერძო უნივერსიტეტის მდგომარეობა.

(დასასრული იხ. „ერთ.“ № 183)

უ-ტის სასწავლო ნაწილის თვით საბჭოსა და სამზრუნველო კომიტეტის სიტყვით, 1919 წ. განვითარების მაგიერ სწრაფი ნაბიჯით დაქვეითებისაკენ მიექანებოდა, ისე, რომ უ-ტი იძულებული იყო შეეკვეცა თავისი მოქმედება: „была прекращена дѣятельность историко-словеснаго факультета, оставшагося къ тому почти безъ преподавателей, вслѣдствіе переѣзда ихъ въ Баку.... были произведены значительныя сокращенія на остальныхъ факультетахъ пришлось отказаться отъ мысли объ открытіи IV курса медицинскаго факультета и отъ. расширенія нѣкоторыхъ учебно-вспомогательныхъ учрежденій“.

ამას დაერთო აგრეთვე „чувствительная потери въ составѣ профессоровъ“. უეჭველია ასეთს პირობებში უ-ტი უნდა თავისდა თავად დაკეცილიყო, მაგრამ 1919—1920 წ. მოულოდნელად უ-ტის საქმე გამოკეთებულა და უ-ტის საბჭოს სამეცნიერო ნაწილის პირადი შემადგენლობის შევსება მოუხერხებია: „Совѣту университета удалось привлечь въ Тифлис цѣлый рядъ научныхъ силъ“. **„უ-ტის ამ სასწაულებრივი გამობრუნების მიზეზს ადვილად მიხვდება ადამიანი:** ბოლშევიკების შემოტევამ და დენიკინის სრულმა განადგურებამ სამხრეთ-რუსეთის უ—ტების პროფესორები ლტოლვილებად აქცია და სწორედ ამ შემთხვევითმა გარემოებამ ცოტათ მაინც გამოასწორა დაქცევის აუცილებლობის წინაშე მდგომი ამიერკ. კერძო უ—ტის მდგომარეობა.

მაგრამ უ—ტის გამგეობის ყოველგვარი ცდის, და მიუხედავათ ამიერკ. უ—ტისათვის იმთავითვე არსებულ ობიექტიური პირობების გამო, უ-ტს ბევრი რამე აკლია, რომ თავისი დანიშნულება პირნათლად აასრულოს. უ—ტის საბჭო და გამგეობა ამტკიცებს, რომ უ—ტი წარსულ წლის განმავლობაში სრულებით გამაგრდა და სწავლის საქმის შესაფერისად ამაღლება მოახერხა, მაგრამ მასაც არ შეუძლიან უარჰყოს, რომ „Совѣту У—та не вполнѣ удалось преодолѣть всѣ трудности, возникшія послѣ прошлогодняго ухода части профессоровъ, и нѣкоторыя кафедры остались вакантными“.

მაგრამ რამდენად არ შეესაბამება სინამდვილეს უ—ტის გამგეობის მტკიცება სასწავლებლის სრულ გამაგრების შესახებ, ამას სამკურნალო ფ—ტის მდგომარეობაც ცხადჰყოფს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორის ექ. ს. ჯაფარიძისა და სახელ. უ—ტის პროფ. ალადაშვილის მოხსენებიდან ჩანს, რომ პროფესორთა პირადი შემადგენლობა შეიძლება გაიყოს სამ ჯგუფად. სრულუფლებიანი 8 პროფესორი ყოფილა, მაგრამ მათგან 3 თფილისის სახელმწიფო უ—ტის პროფესორია, ხოლო 3 პროფ. და 2 პრივატდოცენტი რუსეთის უ-ტისა. უკანასკნელთაგან პროფ. ანფიმოვს **მხოლოდ რამდენიმე ლექცია წაუკითხავს კერძო კურსისა. პროფ. შიროკოგოროვი მთელი წლის განმავლობაში ბაქოში ცხოვრობდა, სადაც ის უ-ტის რექტორად იყო, და ამიერკ. უ-ტში მას ლექციები არც წაუკითხავს და ფიზიკურად არც შეეძლო წაეკითხა. პრივატ-დოცენტი ტიხანოვიჩი მხოლოდ 1920 წ. 20 მაისს არის მოწვეული და ჯერ თავისი საგანი არ წაუკითხავს.** ამიტომ პროფესორ-დოცენტთა რიცხვი 1919—20 წ. ფაქტიურად გაცილებით ნაკლები ყოფილა, ვიდრე აღნიშნულია. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ უ-ტს ჰყავს სამი პრივატ-დოცენტი, რომელთაც ეს წოდება ამიერკ. უ-ტისაგან მიუღიათ და მათ შორის ერთს არავითარი სამეცნიერო ხარისხი არ მოეპოვება, ხოლო მ-ნ იუზბაშიანს ჰაიდელბერგის უ-ტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი აქვს, თუმცა ჰისტოლოგიასა კითხულობს სამკურნალო ფ-ტზე.

სამკურნალო ფ-ტზე კითხულობს 7 ექიმი, რომელთა შორის **მხოლოდ სამსა აქვს მედიცინის დოქტორის ხარისხი. 3 სრულებით უხარისხონი არიან.**

ერთიც სრულებით შეუწყნარებელი წესი ჰქონიათ მიღებული სამკურნალო ფ-ტზე: პათოლოგიურ ანატომიას მთელი წლის განმავლობაში ექიმი მუხარინსკი კითხულობდა, ჰისტოლოგიას-კი ფილოსოფიის დოქტორი იუზბაშიანი. პროფ. შიროკოგოროვი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ბაქოში იყო, მხოლოდ წლის დამლევს ჩამოსულა, გამოცდები მოუხდენია და მატრიკულში სტუდენტებისათვის მასვე მოუწერია ხელი, ისე, რომ ოფიციალურად ისე გამოდის, თითქოს ლექციებს პროფ. შიროკოგოროვი კითხულობდა და არა მუხარინსკი და იუზბაშიანი. ამგვარადვე, საერთო ქირურგიას ექიმი ვეხლოვზოროვი კითხულობდა, გამოცდებს კი ახდენდა და ხელს აწერს მატრიკულებში პრივატ-დოცენტი ტიხანოვიჩი, რომელიც მხოლოდ 20 მაისს იყო მიწვეული უ—ტში, რამდენად საგრძნობია პროფესორთა ნაკლებობა იქიდგანაცა ჩანს, რომ პრივ.-დოცენ. მალენიუკი სამ საგანს კითხულობდა,—ფიზიოლოგიურ ქიმიას, საერთო პათოლოგიას და ფარმაკოლოგიას, რაც ფიზიკურადაც-კი შეუძლებელია. **ამავე დროს ფიზიოლოგია პროფ. როსტოვცევს მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში წაუკითხავს და ერთი სემესტრის განმავლობაშივე იკითხებოდა პათოლოგიური ანატომიაც.**

უ—ტის დაწესებულებათა დათვალიერებამაც გამოარკვია, რომ მხოლოდ ფიზიოლოგიური ქიმიის ლაბორატორია ყოფილა კარგათ მოწყობილი, მომეტებული ნაწილი კაბინეტებისა და ლაბორატორიებისა ვიწროა და მოწყობილობით მეტად ღარიბი. მაგ. პათოლოგიურს ანატომიას ექ. მუხარინსკი ნაწილობრივ უ—ტის აუდიტორიაში კითხულობდა რუსთაველის პროს—ზე და ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში. ექ. მუხარინსკის ჩვენებით ლექციებს აქ ათი თხუთმეტი მსმენელი ესწრებოდა მხოლოდ. თვით პროზექტურა უ—ტის დაწესებულებად არ ითვლება და სწავლა კერძოდ სწარმოებდა უფროსი ექიმის კერძო ნებართვით. დიაგნოსტიკისა და თერაპევტიკული ფ—ტის კლინიკა სომეხ ექიმთა კავშირის საავადმყოფოში ყოფილა მოთავსებული. მაგრამ რაკი იგი სომეხ ლტოლვილთათვის ყოფილა დაარსებული და როცა ლტოლვილნი სამშობლოში დაბრუნდნენ, საავადმყოფოც დაიკეტა, და უ-ტიც უკლინიკოდ დარჩებოდა. მაინც და მაინც დათვალიერება ამ ჟამად უკვე შეუძლებელი იყო. უ-ტში ოფიციალურად მე-3-ე კურსი არსებობდა, ფაქტიურად კი მე-4-ე გახსნილი ყოფილა, რომელზედაც ლექციებს თფილისელი პრაქტ. ექიმები კითხულობდნენ და მხოლოდ 5 საგანი წაუკითხავთ. ამ კურსისათვის უ-ტს კლინიკები არ მოუწყვია, მხოლოდ დეკანის განმარტებით მე-4-ე კურსი არ შესდგა და არსებობდა ვითომც ე. წ. „პრივატისსიმა“-ს სახით, რაც არც დარქმეულის სახელს შეეფერება და არც შესაწყნარებელია. ამ მოკლე მიმოხილვიდგან ცხადი გახდება თუ რამდენად შეეფერება საქმის ნამდვილს ვითარებას ამიერკ. კერძო უნ-ტის საბჭოს და სამზრუნველო კომიტეტის მტკიცება უ-ტის სრული გამაგრების შესახებ. ზემონათქვამის შემდგომ მოკლედ შეიძლება ასე დავასკვნათ: გამოცდილებას ამიერკ. კერძო უნ-ტი დაურწმუნებია, **რომ ამიერ კავკასიაში არსებული რესპუბლიკებისაგან რაიმე ქონებრივი დახმარებაზე არ უნდა იოცნებოს.** სტუდენტ-მსმენელთა შემადგენლობის დაკვირვებამ გამოარკვია, რომ ამ უნ-ტს **უფლება არა აქვს საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა უმცირესობის დამაკმაყოფილებელ უმაღლეს სასწავლებლად ჩასთვალოს თავისი თავი და, მაშასადამე არც საქართველოში მცხოვრებ ერთი ეროვნულ საბჭოებისაგან და არც მით უმეტეს საქართველოს რესპუბლიკისაგან შენახვის იმედიც კი არ შეიძლება რომ ჰქონდეს.**

ასეთს პირობებში ამიერკ. უ—ტის ქონებრივი მომავალი безъ крупной помощи извнѣ მართლაც რომ სრულებით უიმედოა, რადგან უკანასკნელი სახსარი, საკუთარი სახლი ანასტასიის ქუჩაზე, უკვე მარტში გაყიდულ იქმნა და შემოსული ფულიც დახარჯული აქვს.

სამეცნიერო სასწავლო მხრივაც უ—ტი სრულებით უზრუნველყოფილ არ არის და ეხლაც თავის დანიშნულებას არ აკმაყოფილებს. ამ უნ—ტს საზოგადოთ საარსებო ნიადაგი და მომავალი იმედები არა აქვს და საკმარისია რუსეთში მდგომარეობა გამოკეთდეს, რომ იმ მცირე რიცხოვანმა რუს პროფესორებმა, რომელთაც ვითარცა ლტოლვილებს აქ თავშესაფარი უპოვიათ, ამ სასწავლებელს მაშინვე თავი დაანებონ. შესაბრალისია ამიტომ ის მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელსაც ეხლანდელ პირობებში იქ სწავლა უხდება.

ტბა

— გაჭირდა ცხოვრება. ხალხი გამრავლდა. მიწა აღარავის ჰყოფნის. ყველა კვერცხში წივის. ამოდენა ადგილს ტყუილად ვაცდენინებთ ტბას. სჯობს ამოვშროთ. ბოსტნის მოსაყვანად გამოგვადგებაო.—გაიფიქრეს დიდებმათ და პირი გაუხსნეს ტბას. ხუილით დააქანეს ხევ ხუევებისკენ წყალი.

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის საავაჭრო
ი. ა. მაჭარაძის და ვ. ა. წოწონავასი
ქ. ბათომი დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა № 26
სადაც მოიპოვება ყოველ გვარი ავეჯეულობა: და ჭურჭლეები შუშის, ფარფორის, ფაიანსის, ემალის, ალიუმინის და სხვა. ვყიდულობთ და ვყიდით ყოველნაირ ავეჯეულობას.
(2396— 10—2)

მეწყინა, ჩემი საოცნებო ადგილი იყო ისა.

გარიერაჟდებოდა თუ რა არა, ვეწვეოდი მას და უყურებდი, თუ სწორ-უპოვარი მხატვარი მზე ფერად ფერადათ როგორ ჰკარგავდა ახლად გაღვიძებულ ტბის გარემოს.

მის კიდეს მიყვარდა ყოფნა ღამითაც, როცა ალმასის ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იყურებოდა ხოლმე ფირუზი თვლებით ტბის წიაღში და იქსოვებოდა საოცნებო, გრძნეული ზღაპარი.

მე ვიჩოქებდი ამ მშვენიერების საკურთხევლის წინაშე და ვოცნებობდი იმ ბედნიერებაზე, რომელიც არ არის და არც ოდეს იქნება ქვეყნად.

მე უგდებდი ყურს ტბის ჰავლის ლივლივს და მეგონა ჩემთან იყო ვიღაცა უხილავი, მაგრამ უზომოდ მოსიყვარულე, და იგი მიმღეროდა საამო, მომხიბლავს ლექსებს.

უნდა გამოვესალმო ჩემს მეხვაშიადეს, კაეშნის გამქარვებელს ტბას.

წავედი.

სიმორემ შემაყენა.

გავცბი. დავიბიდე.

რა მოხდა, ხომ არა იხრწნებოდა რა?

ეს ტბა იყო. ისა შხამავდა ჰაერს. კარგა მოღრმოს მხოლოდ ზედაპირზე ჰქონოდა მოქცეული წმინდა, დამწკნარი წყალი... გული და ფსკერი კი ჩახაშმული იყო, სიბინძურით სავსე. აქა-იქ მცურავნიც იგლარჯებოდნენ...

დასაჯერებლადაც კი ძნელი იყო, რომ სულ მცირე ხნის წინეთ ამ ჭაობის კიდეზე ადამიანი ეძლეოდა ტკბილ განცდათა ლამაზს ზმანებას.

დ. თურდოსპირელი

დამფუძნებელი კრება

13 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.** ქრისტიხე შარაშიძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი შემდეგი დეკრეტისა: 1) ბათუმის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახათ 178,434,234 მან. გადადებისა, 2) ქალ. სიღნაღის თვითმართველობისათვის 2 მილ. მან. სესხის მიცემისა. 3) ქ. ონის თვითმართველობისთვის 3 მილ. მან. სესხის მიცემისა, 4) ჯარისა და გვარდიის სათადარიგო ჯარისკაცთა სააღრიცხვო დავთრების დასამზადებლად 1,500,000 მან. გადადებისა. 5) სახაზინო რკინის გზის დამატებითი მილიციის მოქმედების განგრძობისა. 7) ძველი სახურო-მოძღვრების შეკეთება-დაცვისათვის 2 მილიონ მან. გადადებისა, 8) სენაკის მაზრის ერობისთვის 480 ათასი მან. სესხად მიცემისა სამელორაციო საჭიროებისთვის. 9) გორის მაზრის სკოლების აღსადგენათ 20 მილიონ მან. გადადებისა. 10) ყალბი საკრედიტო ბარათების დამზადების დანაშაულობისათვის პასუხისგების გაძლიერებისა. 11) სამხედრო უწყების შტატის დამატებისა და ცვლილების კანონის ძალაში შესვლის დროის განსაზღვრისა, 12) გულრიკარის თემის გამოყოფისა და ქუთაისის მაზრაზე მიწერისა.

ივ. გომართელის მოხსენებით მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი: ახალქალაქის მაზრის სოფ. ბარალეთისა, ოკამასა და გარელოვკას ამბულატორიების შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ლ. ნათაძის მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი სასოფლო მეურნეობის საშუალო და დაბალ განათლების ორგანიზაციის შესახებ.

ივანე გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—სურამის ფსიქიატრიულ ახალშენის ჯანმრთელობის დეპარტამენტისათვის გადაცემისა.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითადი თანხის გადიდებისა.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ეპიდემიასთან საბრძოლველათ 30 მილიონ მან. გადადების შესახებ.

ი. ფირცხალაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ადერბეიჯანში მუშათა და გლეხთა დელეგაციის გასაგზავნათ 2 მილიონ მან. გადადებისა.

მ. რუხიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. თფილისის თვითმართველობისათვის 40 მილ. მან. სესხის მიცემისა სასურსათო განყოფილების გასაფართოვებლათ.

მ. რუხიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. ხონის თვითმართველობისათვის 3 მილიონ მან. სესხის მიცემისა ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ასაშენებლათ.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. ქუთაისის თვითმართველობისათვის 10 მილიონ მან. სესხის მიცემისა.

შემდეგ წაკითხულ იქნა განცხადება სოც.-დემ. ფრაქციის ბიუროსი, რომ ი. ელიგულაშვილი დაინიშნა საქართველოს ეკონომიურ აგენტად როტერდამში და საფრანგეთში, და ვინაიდან ეს თანამდებობა შეუთავსებელია დამფ. კრების წევრობასთან, ის განთავისუფლებულ იქნას დამფ. კრების წევრობისაგან და მისი ადგილი დაიჭიროს ანნა სოლოღაშვილის ასულმა. ეს განცხადება მიღებულ იქნა.

კულტურული მუშაობა ჯარში

მე-4-ხე შულავერის სანაპირო რაზმი. სანაპირო ჯარის კულტურულ-განმანათლებელ სექციის ინსტრუქტორის წინადადებით 4-ხე შულავერის სანაპირო რაზმში შესდგა სცენის მოყვარეთა ჯგუფი. არჩეულ იქნა გამგეობა, რომელსაც დაევალა წარმოდგენების მოწყობა და რაზმში კულტურულ საქმეების წინამძღოლობა. ჯგუფმა თავის პირდაპირ მოვალეობათ სცნო ახლო მომავალში წარმოდგენის გამართვა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი 1-ლ აგვისტოს. დაიდგა 1-ლი „სცენა რედაქციაში“ ვოდევილი ერთ მოქმედ. და „ნამუსიანი ხალხი“ კომედია ერთ მოქმედ. დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა რეჟისორმა სცენის მოყვარეთა ჯგუფის მოქმედების და მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელი დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დაჯილდოვდა.

მიუხედავად საკმაო ძალების უქონლობისა და სხვადასხვა ტეხნიკური მიზეზებისა წარმოდგენა მაინც კარგათ ჩატარდა. დამსწრე ადგილობრივი საზოგადოება, ოფიცრობა და ჯარისკაცები ნასიამოვნები დაიშალნენ. ჯგუფის მუშაობას აფერხებს სცენის უქონლობა, რის გამოც მათ უხდებათ ფარდებით ვაი-ვაგლახით სცენა მოაწყონ. სურთ შეიძინონ მოძრავი სცენა განყოფილებებში გადასატანად, უბრალოდ მაინც დახატული დეკორაციები, ურომლისოდაც წარმოდგენას დიდი და უმთავრესი დანაკლისი ექნება. ყველა ამის შესახებ აღნიშნულ ჯგუფის სახელით უკვე ეცნობა სან. ჯარის კულ. განმან. სექციის ინსტრუქტორს, რომელიც თავის მხრივ, იმედია, მათ თხოვნას უყურადღებოთ არ დასტოვებს და აღძრავს შუამდგომლობას, სადაც ჯერ-არს. რაზმი ჟურნალ-გაზეთებს სისტემატიურად იღებს. წაკითხვის შემდეგ, წერა-კითხვის უცოდინართ, მცოდნე ამხანაგები შინაარს უზიარებენ. ჯარისკაცები აღფრთოვანებით ეგებებიან ახლად მოსულ ჟურნალ-გაზეთებს. ხშირად ცენტრს მოკლებულნი, მოგროვდებიან ჰიშკართან, შესავალში და უცდიან როდის გამოჩნდება ფოსტიდან მომავალი შიკრიკი, რომ რაც შეიძლება მალე შეიტყონ, რა ხდება ქვეყნად.

ვანო ხირხელი.

ჯარისკაცთა წერილი.

1888—89 წლებში დაბადებულ მობილიზაციით გაწვეული სადარაჯო ათასეულის ჯარის კაცნი, მივდივართ რა ორი თვის შვებულებაში, გვსურს უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ სადარაჯო ათასეულის კულტურულ-განმანათლებელ სექციის წევრებს და მათ ხელმძღვანელთ.

ჩვენ ვიცნობთ იმ წესს და ჯარის კაცის იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა ნიკოლოზის დროს; მაშინაც ვყოფილვართ ჯარის კაცათ და ეხლაც, მაგრამ დღეს თითეული ჩვენგანისათვის აშკარაა ძველსა და ახალ ჯარის კაცთა შორის აღზრდის, მათი მდგომარეობის სხვადასხვაობა, გონება დახლუნგებული, სისხლით გაჟღენთილი და ნიკოლოზის რეჟიმის ბრმა დამცველი—აი როგორ ბრუნდებოდა ძველათ სახლში ჯარში გაწვეული გლეხი და მუშა. დღეს კი, ჯარის კაცი არ შეიძლება იყოს რომელიმე მთავრობის ბრმა იარაღად. თითოეულ ჩვენგანს დღეს უფლება აქვს მთავრობის ყოველ ნაბიჯს გაეცნოს, თვალყური ადევნოს მის მოქმედებას. ჩვენთვის აშკარაა, რომ დღეს თვით მთავრობა ცდილობს სწორი წარმოდგენა გვქონდეს ჩვენ ყოველ საკითხზე. და აი, ამ მიზნით, რომ ჯარის კაცი შეგნებული დაბრუნებოდა თავის კერას, მან (მთავრობამ) ყოველ ათასეულებში შექმნა მუშაობა. დიდია მთავრობის მიზანი, მაგრამ უმთავრესი ის არის, თუ როგორ განახორციელებს ამას ათასეულში დანიშნული მასწავლებელი. ჩვენი მასწავლებელი სწორეთ შესაფერისი აღმოჩნდა ჩვენი განვითარების საქმეში. ბ-ნ კალანდარიშვილმა გაგვიორკეცა გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, მან დაგვახვა ბევრი რამ ისეთი, რაც ჩვენთვის გაუგებარი იყო. კულტურულ სექციაში მომუშავეთა და განსაკუთრებით კალანდარიშვილის შემწეობით ჩვენ, რამდენათაც მოვასწარით, გავეცანით სამშობლოს ისტორიას, ხელოვნებას, რესპუბლიკის ძირითად კანონებს, ბუნების მეტყველებას და სხვა.

ჩვენ კარგად ვხედავდით კულტურულ სექციის წევრთა საერთოდ და კერძოთ კალანდარიშვილის დაუღალავ მუშაობას ჩვენს განსავითარებლად—და ამიტომ ჩვენ 1888—89 წლებში დაბადებულნი ჯარისკაცნი სულითა და გულით მადლობას ვუძღვნით მათ. ჩვენ მივდივართ დროებით და იმედი ჰქონდეს ჩვენს მასწავლებლებს, რომ მათი შრომა უნაყოფოთ არ ჩაივლის. ჩვენი დემოკრატიული მთავრობის წინაშე კი ფიცსა ვსდებთ, რომ მუდამ მზათ ვიქნებით სამშობლოს განსაცდელის ჟამს სისხლით დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა.

მონდობილობით ჯარის კაცნი: **თადეოზ ლობჟანიძე, პლატონ გოზეჯიშვილი, მიხეილ ცხვირაშვილი და პლატონ ჯაფარიძე.**

ქ. თფილისი.
12 აგვისტო.

ს. დ.-პარტიაში

თფილისი. 11 აგვისტოს, ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა საერთო კრება თ. ვასაძის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 280 წევრი. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება პარტიული ყრილობის მუშაობის შესახებ; 2) ადერბეიჯანიდან ახლად დაბრუნებულ ვ. ბაქრაძისა და ავაქოვის მოხსენებები. პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ბ. თევზაიამ, რომელმაც აღნიშნა სოც.-დემოკრატიის როლი სახელმწიფოს აღმშენებლობით მუშაობაში და განმარტა პარტიული ყრილობის მთავარი რეზოლიუციები. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ამხ. ბ. თევზაიას მოხსენება პარტიული ყრილობის მუშაობის შესახებ, ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა საერთო კრება სავსებით იზიარებს ყრილობის ყველა დადგენილებებს და მთელი თავისი ენერგიით ეცდება მას ცხოვრებაში გატარებას. 2) შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ბაქრაძემ, რომელმაც დამსწრეთ გადასცა ადერბეიჯანში პირადათ ნახული განცდა-შთაბეჭდილებანი და დაასურათა ადერბეიჯანის ყველა წრეების სულიერი განწყობილება, რომელიც გამოიხატა პირველად ბოლშევიზმისკენ ლტოლვაში და შემდეგ აღნიშნა, თუ როგორ შეიცვალა ეს განწყობილება ბაქოში კომუნისტების შემოსვლის შემდეგ, ხაზი გაუსვა იმას, თუ როგორი ზერელე წარმოდგენისა იყვნენ ადერბეიჯანის წრეები საქართველოზე ომამდე და როგორ დადებითად შეიცვალა ეს წარმოდგენა საქართველოსთან ზავის ჩამოგდების შემდეგ 3) შემდეგ მოხსენება გააკეთა ბაქოს პროფესიონალური კავშირის წევრმა ავაქოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კომუნისტების შემოსვლის დღიდანვე ბაქოში ფეხ ქვეშ გაითელა მუშათა მინიმალური მოთხოვნილებანი და პროფესიონალური კავშირი არავითარ პოლიტიკურ როლს არ თამაშობს მუშათა ცხოვრებაში, არამედ წარმოადგენს ერთგვარ სტატისტიკურ კომისიას, რომელიც იკვლევს, თუ რამდენი მუშაა ამა თუ იმ დარგში და სხ. მომხსენებელი კრებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

მდივანი: **ვენედ. ჯორბენაძე.**

მუშათა შორის

მეტყავეთა კავშირი. მკითხველს, ალბათ, ეხსომება პროფ. კავშირთა საბჭოს იმ სხდომის ანგარიში, რომელზედაც გადაწყდა მეტყავეთა კავშირის ბედი, და სადაც ამხ. ი. ჩხენკელმა გააკეთა ვრცელი მოხსენება მეტყავეთა კავშირის მუშაობის შესახებ. აშკარა იყო ყველასათვის მეტყავეთა კავშირის „საქმიანობა.“

ვიდრე პროფ. კავშირთა საბჭოს დადგენილებას შევეხებოდე (მეტყავეთა კავშირის შესახებ) საჭიროა (ცოტა ხნის მკითხველის ყურადღება შევაჩერო მეტყავეთა კავშირის წევრთა იმ საზოგადო კრებაზე, რომელიც იქნა მოწვეული 29 ივნისს და სადაც დავესწარით ჩვენც. ახალი კავშირის წევრები მივედით იმ იმედით, რომ ძველ კავშირთან გამოვნახავდით საერთო ენას, ავირჩევდით ახალ გამგეობას, სადაც შევიდოდნენ როგორც ძველი კავშირის აგრეთვე ახალი კავშირის წარმომადგენლები. წინასწარ გვქონდა სეკრეტარიატის თანადასწრებით მოლაპარაკება, თითქოს შევთანხმდით კიდეც, მაგრამ საზოგადო კრებაზე სულ სხვა დამტკიცდა. მოხსენება გააკეთა მ. ნერსესიანმა, რომელმაც თავისი პირით აღნიშნა კავშირის დეფექტები. შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ჩხენკელმა. ამ მოხსენებიდან საყურადღებოა შემდეგი: პირველი ის, რომ მეტყავეთა კავშირის გამგეობა ჰფლანგავდა ფულებს (კავშირისას) სრულიად უსაფუძვლოდ არა კავშირის საქმეებზე, რის დასამტკიცებლად აუარებელი ფაქტები იქნა მოყვანილი ამხანაგ ივანე ჩხენკელის მიერ. და მეორე ის, რომ კავშირის გამგეობა ებრძოდა როგორც თბილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ისე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. როგორც პირველის, აგრეთვე მეორის საწინააღმდეგოთ მეტყავეთა კავშირის მეთაურებმა ხმა ვერ ამოიღეს, მათი სიჩუმე მჭერმეტყველურათ ამტკიცებდა ყველა იმას, რაც ამხ. ჩხენკელმა თავის მოხსენებაში სთქვა მათ მუშაობაზე. ამის საწინააღმდეგოთ კომუნისტები ვერც ეხლა ჰბედავენ ხმის ამოღებას. მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. ჩხენკელმა კრებას ნათლათ დაუმტკიცა კავშირის გამგეობის ბოროტმოქმედება, როგორც ფულების ფლანგვაში, ისე სხვა და სხვა საქმეებში, კრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კომუნისტების წინადადებას და ხმა მისცა ისეთ რეზოლიუციას, რომელიც ნდობას უცხადებდა ძველ გამგეობას. კრებაზე, როდესაც თავმჯდომარემ რეზოლიუციას კენჭი უყარა, 150 კაცზე მეტი არ ყოფილა, ბ. „აშ“-ი კი ამბობს 1000 კაცი იყოვო („ახ. კომუნისტი № 8.“) ეს, ალბათ სიზმარში მოეჩვენა ბ. „აშს“, რომელიც გაზეთ „ახ. კომუნისტიდან„ ცდილობს აუხვიოს მკითხველს თვალი და დაარწმუნოს იმაში, რაც თვითონ არა სჯერა. ამის-შემდეგ პროფეს. კავშირთა საბჭოს არ დარჩა რა, გარდა კავშირის გაუქმებისა, რადგან ის მუშები, რომელნიც ღებულობენ თვეში 15,000 მანეთს და ჰყავთ რამოდენიმე შეგირდი, რომელთა ზურგზედაც ეწევიან უზომო ექსპლოატაციას და რომელთაც ნამდვილ მუშებთან საერთო არაფერი აქვთ, არას დროს არ დაგიდევენ მუშათა კანონებს და მუდამ ჟამს შეეცდებიან იმის დარღვევას, რადგან კარგათ იციან, რომ ეს კანონები მათ სასარგებლოთ არ ილაპარაკებენ, ამიტომ პროფეს. კავშირთა საბჭო დარწმუნებული იმაში, რომ „მგლის თავზე სახარების კითხვა“ ნაყოფს არ მოიტანდა და კავშირი, შემდგარი უმთავრესათ ზემო აღნიშნულ მუშებისაგან თავისას არ დაიშლიდა, გამორიცხა იგი საბჭოდან და იცნო ახალი კავშირი, რომელსაც გადასცა მთელი ქონება და ოთახები. რასაკვირველია, არც ერთ პარტიას არ მოეწონა პარტიული ბიუროს დაკეტვა და ეს მით უმეტეს კომუნისტებს არ მოეწონათ. პროფესიონალურ კავშირებში ერთი პარტიული ბიურო ჰქონდათ და ისიც დახურეს. მაგრამ ვისი ბრალია ეს; ისევ თქვენი ბ. კომუნისტებო! თქვენ რომ საქმე ისე დაგეჭირათ რომ 600—700 მუშა არ ჩამოგცლოდათ ეხლაც გექნებოდათ ეს ბიურო, რასაკვირველია, პროფესიონალური კავშირის სახელით. მაგრამ ეს „კონტრრევოლიუციონური“ მუშები თქვენ ჩამოგშორდნენ, დღითი დღე ახალი კავშირი იზრდებოდა, დაბოლოს თქვენ უნდა მოგეხარათ ქედი მათ წინაშე და ასეც მოხდა. მე არ შემიძლია თქვენი მწუხარების მონაწილე არ შევიქმნე, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, მით უმეტეს, რომ „მოღალატე“ მეტყავე მუშებმა საშუალება მოგისპეს საბჭოთა რუსეთიდან ჩამოსულ თქვენს ამხანაგებს პროფესიონალურ კავშირების სახელით მიესალმოთ,

„ახ. კომუნისტი“-ს მე-10 №-ში ბ. X სწერს: ახალ კავშირის წევრებათ იღებენ მხოლოდ იმ მუშებს, რომლებიც ხელს მოაწერენ რეზოლიუციას, რომელიც კიცხავს ძველი გამგეობის მოქმედებას. და გვეკითხებით—„რა არის ეს? კავშირია ეს, თუ პოლიტიკური პარტიის განყოფილება? პოლიტიკის შეტანა თუ პროფესიონალური მუშაობა?“ ჩვენ ბ. „X“-ო ამ შემთხვევაში ძველი გამგეობა არ გვაინტერესებს, ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ მეტყავე მუშებმა ხელი აიღონ იმ დამღუპველ პოლიტიკაზე, რომელსაც აქამდის მათ მიერ ნდობით აღჭურვილი გამგეობა აწარმოებდა, და რომელსაც, სამწუხაროთ, ნაწილი მუშებისა იზიარებდა. ჩვენს კავშირში არის 700 წევრი, ამ 700 წევრს დღითი დღე ემატება წევრები, ეწერებიან კავშირში ის მუშები, რომელნიც დღემდის არსად ყოფილან ჩაწერილები. სულაც რომ არავინ ჩაწეროს, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია არსებობა, რადგან 700 წევრიანი კავშირი, დამეთანხმებით, მუდამ იარსებებს. ჩვენ ვამბობთ, ვისაც გსურთ გულწრფელათ კავშირში ჩაწერა და პროფესიონალური მუშაობა, მობრძანდით, ჩვენ სიამოვნებით მიგიღებთ ვისაც კავშირი სახელათ უნდა და შიგ (კავშირში) რომელიმე პარტიის გამეფებაზე დაიწყებს ოცნებას და ამ ნიადაგზე იმუშავებს, იქნება ის „ფედერალისტი“, „დაშნაკელი“, „კომუნისტი“ „მენშევიკი“ თუ სხვა, სულ ერთია—ეს ჩვენთვის, ჩვენ მას კავშირში არ მივიღებთ. ამიტომ—ვინც მოისურვებს ჩვენ კავშირში ჩაწერას, ჩვენ ვეტყვით:

თუ გსურთ გულწრფელათ ჩაწერა კავშირში თქვენ უარჰყავით ძველი პოლიტიკა, დაადექით ახალს, ნორმალურ გზას და ჩვენი სიმპატია და ყოველგვარი დახმარება თქვენსკენ იქნება. ამის შემდეგ მუშებს თვითონ გამოაქვთ შესაფერი დადგენილება და მათ ვღებულობთ კავშირში. რომ გვეკითხებით ბ. „X“-ო, „რა არის ეს, პოლიტიკაა, თუ პროფესიონალური მუშაობაო“, გიპასუხებთ: ეს არის ნამდვილი **პროფესიონალური მუშაობა.** ჩვენ ასეთ პირებს არ მივცემთ ადგილს, რომელნიც მხოლოდ ხელს შეგვიშლიან ჩვენს პროფესიონალურ მუშაობაში. ფიცი საწყენად დაგრჩებათ ბ. კომუნისტებო, მაგრამ თქვენს მიერ ჩაწერილი მუშები კავშირში, რომელთაც ახლავთ საექსპლოატაციოთ შეგირდები, კავშირიდან იქნებიან გაძევებულნი. დასასრულ უნდა მოგახსენოთ ბ. კომუნისტებო, რომ ჩვენ არავის არ ვეხვეწებით, „მობრძანდით კავშირშიო“, ჩვენი გზა ასეთია: ვისაც სურს მობრძანდეს, ჩაეწეროს, ვისაც არა და—გზა დაგვილოცნია.

ვანიკო.

პროვინცია

ხოფ. ონტოფო. სოფლის ხალხ დღეს, სწავლა-განათლებისადმი დიდი მისწრაფება ემჩნევა. ის შეგნებულად მიილტვის ცოდნა-სინათლისაკენ დარწმუნებული, რომ მხოლოდ ცოდნა-განათლებას შეუძლია შექმნას უკეთესი მომავალი. დღეს დასავლეთ საქართველოში არ არის თითქმის—ისეთი სოფელი, რომ არ იყოს დაარსებული სხვადასხვა კულტურული დაწესებულება. სენაკის მაზრის სოფლებში ყოველ კვირა იმართება წარმოდგენა—საღამოები და სხვა კულტურული გასართობები, რასაც მთელი სოფლის მცხოვრებნი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ავათმყოფების გარდა ყველა ესწრება და ეტანება. სოფ. ონტოფოს განუზრახავს ქვის სახლის აშენება სკოლისათვის, და სხვა კულტურულ დაწესებულებებისათვის. კრებაზე,სადაც ქალიდა კაცი ყველა ღებულობდა კამათში მონაწილეობას, სააღმშენებლო კომისიის მოხსენების და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, ხალხი ერთხმად მოითხოვდა, მიუხედავათ სიძვირისა, ქვის შენობის აგებას. კრებამ სავალდებულოდ გახადა ყველა ადგილობრივ მცხოვრებნი თვითონ იმუშაონ უფასოთ. იქვე აირჩიეს ყოველ კუთხიდან ორ ორი კაცი და დაავალეს მათ სამუშაოდ მცხოვრებთა გამოყვანა და წესრიგის დაცვა.

სოფ. ონტოფოს საკმაოდ მოეპოვება ინტელიგენტები შიგნითაც და გარეთაც და მათი დახმარება ზნეობრივი და ნივთიერი ეხლა ესაჭიროება მის სოფელს მშობლებს და მოზარდ თაობას. ის შვილები, რომელთაც ონტოფოში გაატარეს თავის ბავშვობა ანდა ონტოფოსთან არიან დაკავშირებული თავიანთი წინაპრების ძვირფასი ხსოვნით, გამოიწვევდიან, შორეულ დაბა ქალაქ სოფლებიდან, დასახმარებლად ონტოფოსაკენ ხელს.

თავისუფალი ქალი.

წერილი რედ. მიმართ

მე-6 რაიონის მუშათა კლუბის გამგეობის დავალებით ულრმეს მადლობას ვუცხადებ ადელხანოვის აქც.-საზოგ. მუშათა პროფესიონალურ კავშირს, რომელმაც აღნიშნულ კლუბის სასარგებლოთ შემოსწირა 1000 მანეთი. კლუბის გამგეობა იმედოვნებს, რომ მის მაგალითს მიჰბაძავენ სხვა დაწესებულებები—ორგანიზაციები და მით ხელს შეუწყობენ მუშათა პოლიტიკურ კლუბის საქმის აღორძინებას და საშუალებას მისცემენ აღნიშნულ კლუბის გამგეობას, რომელიც ამ მხრით განიცდის გაჭირვებას, გამოსჭედოს მისი კეთილი მომავალი.

მდივანი **გ. გორდაძე.**

ცნობები

დაკარგული ბავშვი. 1 მკათათვეს სახლიდან გაგვექცა ცამეტი წლის ვაჟი გიორგი ციკლაური. ტანით საშუალო, თვალ ჭრელა, შავი, დიდრონი წარბები. ტანზე აცვია ბრეზენტის ტუზურკა და შარვალი თავზე შავი კოზირიანი ქუდი ხურავს. თუ ვინმემ რაიმე იცის ან გაიგოს ვთხოვ შეატყობინოს მე-XI კომისარიატში ჩერქეზოვის ქუჩა № 123 ილია წიკლაურს.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

განცხადებანი

მე-5, 6, 7, 8 კლასის პროგრამით
მათემატიკაში
რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებში ვიძლევი გაკვეთილებს და ვამზადებ აგრეთვე ყველა საგნებში მე-2, 3, 3 კლას. პლეხანოვის ქ. 25. შესავალი ალექსის ქუჩ. № 5. 9—11 ს. მაჩაიძის ბინა. (2670 2—1)

15000 მანეთათ
იყიდება 10 „პარტა“,
დაფა ლინოლეუმი, მაგიდა და ტანისასოს ჩამოსაკიდი. პლეხანოვის ქ. № 25. შესავალი ალექსის ქ. 25, მაჩაიძის ბინა. (2670 1—1)

საჭიროა ფარშანდელი
ქერი
ამხ. „დიტრიხის“ ლუდის ქარხნისათვის მისამართი: დიდუბის ქ. № 2, ტელ. 7—80. (2652—3—1)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი
გ. ი. ღუროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 23, (სოლოლაკი)

ოზურგეთში
ექიმი
ს. ვ. აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით, (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606“. კ. სიამაშვილის სახლში. (თ. 2634.)

ექიმი
კ. ბ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი ივ. გოკიელი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № [illegible]; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. (ცხენის (ქოთაოის) საპ ვიკვლევ მალეინის შეხაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606“ და 914 შეხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

ექიმბა
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.)

ექიმი
ზინაიდა [illegible]
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (1743—თ.)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1836—თ.

ექიმი ლ. ა. სარალიძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლოს. (2383—თ.)

ექიმი
[illegible] ისაკის ძე [illegible]
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 [illegible] ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

[illegible]